# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 23 სექტემბერი 2005 №218 (2541) ფასი 50 თეთრი




**პოლიციამ გუნდს მწვრთნელი დაუბრუნა**

ჰეფი ენდი მექსიკაში

8



**უცნაური ამბები და იაკინტა**

ვისია, ვისია?

8



**ქუთაისს კალათბურთი უბრუნდება**

ამბავი გუნდისა და დარბაზისა

15

# ხიზანიშვილი

## კარიერის მესამე, ბრიტანული პირველი

ინგლისის ლიგის თასის პირველ ეტაპზე ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა" პირველი დივიზიონის „ჰადერსფილდს" 3:1 მოუგო და ბლექბერნელთაგან ერთი გოლი ჩვენებურმა გაიტანა — ეს ხიზანიშვილის პირველი მიზნიანი დარტყმაა ბრიტანულ კარიერაში.

*მესამე გვერდი*



# პირველ მეორეზე გაითვალეთ



თბილისის არმიელთა სპორტკლუბის დარბაზი საქართველოს ხელბურთელთა XVI ჩემპიონატს მასპინძლობს. დღეს პირველი წრის ცენტრალური მატჩია. ერთმანეთს ხვდებიან „სტუ-შევარდენი" და „თბილისი". გამართული ორ-ორი მატჩიდან პირველმა ორივე მოიგო, ხოლო მეორემ ამდენივე წააგო, მაგრამ მათი შეხვედრა მაინც ხელბურთის ქომაგთა ინტერესს იწვევს. ბუნებრივიცაა, რადგან — სტუ შევარდენი ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონია, „თბილისი" კი შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი.

# არ ვიცი, რატომ მომკვეთეს ნაკრებიდან

## მე და ვიტ ჯორჯია დინამოს ყოველთვის ვუგებთ

*ამასწინანდელი „ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“ სკანდალური კი გამოდგა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ვიტელებმა ის შეხვედრა 1:0 მოიგეს და შთამბეჭდავადაც ითამაშეს. მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ვიტელთა მარცხენაფლანგელი, 20 წლის ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ გახლდათ, ვისაც ინტერვიუ ჩამოვართვით...*



**— ბოლო დროს „ვიტ ჯორჯია“ ისე ლონივრად ვერ თამაშობს, როგორც 2003-04 წლების სეზონში, როცა ჩემპიონები გახდით, მაგრამ „დინამოსთან“ თითქოს უცბად აფეთქდით...**

— „დინამოსთან“ მართლაც განსაკუთრებული მონდომებით ვთამაშობთ ხოლმე, ვიდრე სხვა გუნდებთან. ალბათ, იმიტომაც, რომ „დინამოსთვის“ ბევრჯერ მოგვიგია. როცა ჩემპიონები გავხდით, იმ სეზონში ორჯერ მოვუგეთ „დინამოს“, ხოლო თავად რამდენჯერაც ვითამაშე „დინამოსთან“, იმდენჯერ მოვიგე.

**— „დინამომ“ ბოლო წაგება, ფაქტობრივად, მსაჯს დააბრალა...**

— შეხვედრის არბიტრმა კარგად იმსაჯა, არც ჩვენ მოგვემხრო და არც „დინამოს“. ჩვენ ეს მატჩი მართლა კარგად ჩავატარეთ, ისე ვითამაშეთ, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო.

**— მაგრამ ეს „ვიტ ჯორჯია“ ის აღარაა, რაც წინა სეზონში იყო...**

— „ვიტ ჯორჯია“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ ამ ეტაპზე გუნდის ბირთვი უკვე ჩამოყალიბდა, ზედიზედ სამი თამაშიც მოვიგეთ და უწინდელზე უკეთაც ავთამაშდით.

**— კლუბის ხელმძღვანელობამ რა კონკრეტული მიზანი დაგისახათ ამ სეზონში?**

— კარგი იქნება, სამეულში თუ მოხვდებით. ჩემპიონობისთვის კი ვიბრძოლებთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება.

**— ჩემპიონობას „დინამოს“ უწინასწარმეტყველებ?**

— ასეთი თამაშით „დინამოს“ ჩემპიონობა გაუჭირდება. „დინამო“ ახლა კარგ ფორმაში არ არის, მაგრამ კარგი ფეხბურთელები ჰყავს და მჯერა, რომ ისინი მოუმატებენ. „დინამოს“ საქართველოში საუკეთესო პირობები აქვს. თუმც ფაქტია, რომ მოვუგეთ. „დინამოს“ ჩვენი თამაში მოვახვიეთ და ამიტომაც ვერ დაგვიპირისპირა ვერაფერი.

**— რამდენიმე წელია, რაც ქართულმა საფეხბურთო სამყარომ გაგიცნო, თუმც წინსვლისთვის ეს საკმარისი არაა — სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებ?**

— „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევრით მაკავშირებს, მაგრამ საქართველოში ველარ მოვუმატებ, აქ ერთ დონეზე დავრჩები, ამიტომ ძალიან მინდა უცხოეთში წასვლა.

**— უცხოეთში წასასვლელად ალბათ ნაკრებში თამაშიცაა საჭირო, შენ კი ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ გიწვევენ...**

— არ ვიცი რატომ, მაგრამ ახალგაზრდული ნაკრებიდან მომკვეთეს. ვერ გავიგე, რატომ მექცევიან ასე — ჩემ გარდა არც მათ ეძახიან, ადრე რომ თამაშობდნენ ნაკრებში და თან საკმაოდ კარგადაც. ნაკრების ხელმძღვანელობის სტრატეგიისა ვერაფერი გავიგე.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

# სილქ როუდი: გზა ბარსელონასკენ?

**ᲒᲔᲮᲡᲝᲛᲔᲑᲐᲗ**, ივნისში თბილისს „ბარსელონას“ ბავშვთა გუნდის ორი მწვრთნელი სტუმრობდა: „ბარსას“ ახალგაზრდული დეპარტამენტისა და ფარმ-კლუბის კოორდინატორი ჟოზეფ გომბაო და კატალონიური გრანდისვე მწვრთნელ-კოორდინატორი ბავშვთა ჯგუფებში იაგო აგილარი.

რამდენიმე თვის წინ „ლოკომოტივი“ კომპანია „სილქ როუდის“ მეშვეობით დაუკავშირდა „ბარსელონას“, არსი კი ასეთი იყო: მიხეილ მესხის სტადიონის სათადარიგო მინდორზე გაიხსნა დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა სკოლა, სადაც ძალების გამოცდა შეუძლიათ ყველა, 5-დან 20 წლამდე ასაკის მოთამაშეებს.



იაგო აგილარი და ლევან ყიფიანი

დავით ყიფიანის სახელობის ბავშვთა სკოლის მთავარი მწვრთნელი სწორედ იაგო აგილარი იქნება, რომელიც თბილისში დარჩა და გუშინ „ლოკომოტივის“ მმართველ დირექტორ ლევან ყიფიანთან და „სილქ როუდის“ პრეზიდენტ ლექსო თოფურიასთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

ეს საფეხბურთო სკოლა უფასო იქნება და ნებისმიერ ასაკში ხაუკეთესოებს აგილარი „ბარსელონაში“ გაუშვებს სტაჟირებაზე. გარკვეული დროის შემდეგ ისინი თბილისში დაბრუნდებიან, საუკეთესო შემთხვევაში კი კატალონიურ გრანდში დარჩებიან. თუ ყველაფერი მართლა ასე მოხდა, უკვე საოცარი მიღწევა იქნება.

„ბარსას“ ამგვარი პროექტი მექსიკაშიც აქვს, იქაც ეძებს ტალანტებს. საერთოდ კი, როგორც ყველა სახელიან კლუბს, კატალონიელებსაც ფართოდ აქვთ გაშლილი სასელექციო მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებში. იმავ აგილარის თქმით, არგენტინელი ამომავალი ვარსკვლავი ლეო მესიც ამ გზით მოხვდა დიდ „ბარსელონაში“.

აგილარი ამ სამი თვის განმავლობაში ზოგადად საქართველოს ბავშვთა ფეხბურთის შესწავლით იყო დაკავებული, 26 სექტემბრიდან კი „მიხეილ მესხის“ სათადარიგო მოედანზე მუშაობას შეუდგება, ანუ დაიწყება ვარჯიშები და დავით ყიფიანის სახელობის სკოლაში მისული ბავშვების შერჩევა.

**ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**

საქართველოს ჩემპიონატი 17 პირველი წრე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## 2 ტური

**გადადებული მატჩი**

**ჩიხურა 4:2 ზესტაფონი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| დინამო 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 13:3 | 10 |
| ჩიხურა | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 4:1 | 10 |
| მერანი | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ზუგდიდი | 5 | 2 | 2 | 1 | 2:2 | 8 |
| გურია | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 7 |
| მესხეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| საგარეჯო | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| რუსთავი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 2:3 | 6 |
| მეშახტე | 5 | 1 | 2 | 2 | 7:5 | 5 |
| მეშაქრე | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| თბილისი 2 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| მალარიოელი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | 4 |
| ლიახვი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | 3 |
| ზესტაფონი 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:13 | 0 |


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

„Ს.Კ. ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ“ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ

„აბრეშუმის გზის კორპორაცია“ ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.

გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.


### ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. VIII ᲢᲣᲠᲘ

ᲚᲘᲝᲜᲘ 1:1 ᲚᲐᲜᲡᲘ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲙᲐᲔᲜᲘ 5:0 ᲕᲐᲚᲐᲜᲡᲘᲔᲜᲘ

ᲜᲘᲝᲠᲘ 0:0 ᲡᲔᲓᲐᲜᲘ 5:4 ᲞᲔᲜ

### ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

ᲗᲐᲡᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲘᲝᲚᲓᲔ 1:0 ᲰᲘᲝᲜᲔᲤᲝᲡᲘ

### ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲗᲐᲡᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲘᲣᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ 2:1 ᲔᲚᲤᲡᲑᲝᲠᲒᲘ

### ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

IV ᲢᲣᲠᲘ

ᲠᲔᲐᲚᲘ 3:1 ᲑᲘᲚᲑᲐᲝ

### ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ

VI ᲢᲣᲠᲘ

ᲖᲘᲒᲔᲜᲘ 1:1 ᲰᲐᲜᲖᲐ

### ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

IX ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲐᲖᲔᲚᲘ 1:1 ᲘᲐᲜᲒ ᲑᲝᲘᲖᲘ



*ვლადიკავკაზის „ალანია" რუსეთის თასისთვის ბრძოლას დაემშვიდობა — ალანიელებმა გუშინწინ ჩიტაში პირველლიგელ „ლოკომოტივთან" 0:2 წააგეს. არადა, პირველი მატჩი 2:0 მოეგოთ, თუმცა პენალტების სერიაში დამარცხდნენ — 4:5.*

*ჩვენთვის საინტერესო კი ის გახლდათ, რომ „ალანიას" შემადგენლობაში ერთბაშად ოთხმა ქართველმა — გიორგი შაშიაშვილმა, დავით კვირკველიამ, ჯაბა კანკავამ და ლევან გვაზავამ — 120 წუთი ითამაშა. გვაზავამ და კანკავამ პენალტებიც გაიტანეს.*

*რატომ წააგო „ალანიამ" პირველდივიზიონელ გუნდთან?*

*გიორგი შაშიაშვილს გუშინ დავურეკეთ...*

# თასდაკლება ალანიაში

## ქართველებს ჩიტამ გადაუფრინა

— ახლა მოსკოვში, აეროპორტში ვართ — ვლადიკავკაზში ვბრუნდებით.

**— ქვედა ლიგის გუნდთან მარცხი ყოველთვის უხერხულია...**

— ასეა, მაგრამ რას ვიზამთ. ეგებ უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ თამაშით მასპინძლებს მაგრად ვაჯობეთ. მარტო ჩვენ ვიყავით ძირითადი გუნდიდან, დანარჩენები სულ პატარა ბიჭები იყვნენ და სულელური გოლებიც გავუშვით. თანაც მსაჯობაც არ იყო ნორმალური, პენალტები კი ლატარიაა.

**— მოკლედ, ოსებმა პირობა აასრულეს და თასზეც ითამაშეთ...**

— გურამ ჩქარეულმა თამაშის შემდეგ მადლობა გადაგვიხადა, საცოდაობაა, ტრანსფერზე რომ ხართ ქართველებიო.

**— ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიე, რას გერჩით იცხაკ შუმი?**

— ეგ რომ ვიცოდეთ, რაღა გვიჭირს. ფაქტია, არ გვათამაშებს. რომელ თამაშზეა ლაპარაკი, როცა აგერ გიორგი დემეტრაძეც სათადარიგოთა სკამზე გადასვა, ორი თამაშია, ძირითადში არ დაუყენებია.

**— ვიტალი დარასელიამ და ლადო ბურდულმა რატომ არ ითამაშეს?**

— ორივე თბილისშია. ვიტალიზე ვერაფერს გეტყვით, ლადო უნდა წამოსულიყო ჩვენთან ერთად, მაგრამ რამდენადაც ვიცი, „დინამოსთან" აგვარებს ტრანსფერის საკითხს.

**გიორგი გუგუშაძე**

# ქართველებს ყაზახებთან ფინელები განსჯიან

**8 ოქტომბერს** საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში ყაზახეთს ეთამაშება. გეხსომებათ, აგვისტოში ქართველებმა აზიელებს ალმათიში გიორგი დემეტრაძის დუბლით 2:1 მოუგეს.

გუშინ კი თბილისური მატჩის მსაჯ-ინსპექტორთა ვინაობა გაირკვა — არბიტრი იონი ჰუუტია; გვერდითები, ესა ვეჰვილაინენი და იანე ივანაინენი, ხოლო სათადარიგო მსაჯი ტონი ასუმა ფინელები არიან. მსაჯთა ინსპექტორი ბულგარელი ბორისლავ ალექსანდროვი იქნება, უეფას დელეგატი კი მალტელი ტომ რესტალი.

**ქახა ზალამბერიძე**

# ხიზანიშვილის ნანატრი ბურთი



**ზურაბ ხიზანიშვილი** [illegible] მოტივიდან" შოტლანდიურ „დანდიში" 2000 წელს გადავიდა, ბოლო ორი სეზონი გლაზგოს „რეინჯერსში" ითამაშა, მაგრამ მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთი გოლიც არ ჰქონდა გატანილი არც კლუბში და არც ახალგაზრდულ თუ ეროვნულ ნაკრებში. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კი ხიზანიშვილს ორადორი ბურთი აქვს შეგდებული.

ერთი სიტყვით, ხიზანიშვილის კარიერაში არც თუ უმნიშვნელო ფაქტი მოხდა — „ჰიდერსფილდს" ზურამ თავურით გაუტანა ნაკუთხურალი და ნანატრი ბურთი.

**დავით თავართქილაძე**

# იყო სამი, გახდება თერთმეტი

## ინტერტოტო გაამარტივეს

**უეფას** აღმასკომმა რომის კონგრესზე ინტერტოტოს თასის ფორმატი შეცვალა — 2006-2007 წლების სეზონიდან ამ ტურნირზე თითო ევროპული ქვეყნიდან თითო გუნდი ითამაშებს, თუმცა მათგან რეიტინგულად ზემდგომებს შეღავათები მაინც ექნებათ — ზოგი მეორე ეტაპიდან ჩაერთვება ტურნირში.



ინტერტოტოს თასის თითქმის უცვლელი მონაწილე „ვიტ ჯორჯია" ბოლოს უნგრულ „ლომბარდ პაპას" გაეჯიბრა

მთავარი კი ისაა, რომ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში ჩასაჯდომად ინტერტოტოზე ხუთი ეტაპის ნაცვლად სამი იქნება გასავლელი. აქედან კი უეფას ჯგუფურ ეტაპამდე ერთი ბარიერიღა რჩება. საბოლოო ჯამში, აქამდე თუ ინტერტოტოდან უეფას თასზე სამი გუნდი გადიოდა, გაისიდან თერთმეტი გავა.

მოკლედ, ფორმატის გამარტივება ქართული კლუბებისთვისაც ხელსაყრელია — შედარებით დაუმოკლდებათ გზა უეფას ჯგუფურ ეტაპამდე და, ალბათ, ინტერტოტოზე უარის თქმის პრეცედენტებიც აღარ იქნება. გეხსომებათ, წლეულს „თბილისმა" ამ ტურნირის უგულვებელყოფა... ნა და მის ნაცვლად „ვიტ ჯორჯიამ" ითამაშა.

**ლუკა თალაკვაძე**

# საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" განცხადება

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ყოველთვის იდგა ქართული ფეხბურთის სამსახურში და მომავალშიც საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომით აპირებს ემსახუროს ჩვენი ქვეყნის №1 სპორტის განვითარებას.

„დინამო თბილისის" ხელმძღვანელობის მიერ გამართული პრესკონფერენცია ემსახურებოდა კლუბის პოზიციის დაფიქსირებას, რაც საფეხბურთო სამყაროსა და საზოგადოებას მიუთითებდა იმ მანკიერ მხარეებზე, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ ქართულ ფეხბურთში. პრესის სხვადასხვა საშუალებებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები და გულშემატკივართა უამრავი ზარები, რომლებიც მოჰყვა „დინამოს" პრესკონფერენციას, გვარწმუნებს, რომ ჩვენი კლუბის მიერ დაფიქსირებული პოზიცია დროული და აუცილებელი იყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუშინდელ გამოსვლაში ფაქტობრივად დაადასტურა ის მოსაზრებები, რომლებზეც დილმის ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე იყო საუბარი.

აქვე გვინდა განვაცხადოთ, რომ „დინამო თბილისის" ხელმძღვანელობა არავის პიროვნულ შეურაცხყოფას არ აყენებს. პრესკონფერენციის მიზანი იყო სფფ-სგან იმის მოთხოვნა, რომ საქართველოს ეროვნულმა ჩემპიონატმა ჩაიაროს სამართლიან ბრძოლაში, ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს მხრიდან სრული ნეიტრალიტეტის დაცვის გარანტიით.

„დინამო თბილისის" ხელმძღვანელობა არასოდეს შეურიგდება იმ მოვლენებსა და პიროვნებებს, რომლებიც ქართული ფეხბურთის განვითარებას შეუშლიან ხელს და საჭიროების შემთხვევაში კვლავაც მოახდენს დროულ რეაგირებას.

# თქვენი ინტერვიუ

## ალექსანდრე იაშვილთან

### «ფრაიბურგი» გერმანია

*ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია": გერმანული „ფრაიბურგის" კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ.*

*ასე რომ, იაქტიურეთ...*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

## იტალია

### სერია A. IV ტური

### ასკოლი 1:1 სიენა

0:1 ბოგდანი (45), 1:1 ფერანტე(58)
ასკოლი: კოპოლა, კუდინი, კომოტო, დომიცი, ტოსტო, ფოჯა (კარიელო 82), კრისტიანო (პაროლა 45), ფინი, გუანა, კოლომბო (ბიელანოვიჩი 63), ფერანტე
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
სიენა: მირანტე, პორტანოვა, ლეგროტალიე, ნეგრო, ალბერტო, ტუდორი (ლოკატელი 72), პარო, ბერგასოლა, ფალსინი, ბოგდანა, კიეზა (მარაცინა 80)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონე
გაფრთხილება: ფინი, ნეგრო, ბოგდანი, ტუდორი
მსაჯი: სტეფანინი
15 000 მაყურებელი

### მილანი 2:0 ლაციო

1:0 შევჩენკო (12), 2:0 კაკა (14)
მილანი: დიდა, სტამი, კალაძე, ნესტა (კოსტაკურტა 85), ამბროზინი, კაფუ, პირლო, ზეედორფი (გატუზო 75), კაკა, შევჩენკო, ვიერი (სერჯინიო 81)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლაციო: სერენი, სტენდარდო, სივილია, ძაული, ბეხრამი (მანფრედინი 46), დაბო, ლივერანი (ბარონიო 64), ჯალომბარდო (პანდევი 46), დი კანიო, როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: სივილია
მსაჯი: მესინა
57 778 მაყურებელი

### რომა 4:1 პარმა

1:0 ტოტი (24), 2:0 ნონდა (26), 2:1 პ. კანავარო (30), 3:1 პანუჩი (54), 4:1 ნონდა (87)
რომა: კურჩი, კუფური, პანუჩი, ბოვო, კუფრე (დაკური 66), პეროტა, აკილანი (როსი 77), დე როსი, ტადეი, ტოტი (ხარია 89), ნონდა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
პარმა: ლუპატელი, კარდონე, კონტინი, კანავარო, პასკუალე, ბრეშიანო, გრელა (ჩიგარინი 83), სიმპლიციო, ბოლანო (სავი 46), დელვეკიო (დუდიჩი 61), კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: გრელა, პეროტა, კონტინი
მსაჯი: ტომბოლინი
32 500 მაყურებელი

### კიევო 0:1 ინტერი

0:1 სამუელი (49)
კიევო: ფონტანა, მანდელი, მალაგო, მორო, ლანა, სენიოლი, ბრიგი (სამაკო 75), ჯუნტი, ფრანჩესკინი (ლუსიანო 78), პელისიერი (ობინა 63), ამაური
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
ინტერი: სეზარი, კორდობა, სამუელი, მატერაცი, ფაველი, ფიგუ (კამბიასო 67), პიზარო, კ. ძანეტი (ვერონი 66), სტანკოვიჩი, კრუზი (ადრიანო 58), რეკობა
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, კ. ძანეტი, ჯონტი, სტანკოვიჩი
მსაჯი: მორგანტი
20 000 მაყურებელი

### ემპოლი 3:1 კალიარი

0:1 კაპონე (33), 1:1, 2:1 ტავანო (46, 64), 3:1 ალმირონი (69)
ემპოლი: ბერტი, ვანილი (ტავანო 40), კოდა, ლუჩინი, ბონეტო, ფიჩინი, ალმირონი, ბოსკე, სერაფინი (მორო 63), ვანუჩი, რიგანო (რაგი 90)
მწვრთნელი: მარიო სომა

# ინტერის უნარ-ჩვევები



უდინეზე — იუვენტუსი 0:1. „ბებერმა ქალბატონს“ უდინეში პატრიკ ვიეირამ მოაგებინა

კალიარი: კარინი, კანინი, ლოპესი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი (ლანჯელა 65), კონტი (ბუდელი 75), გობი (კონტიკიო 75), ესპოზიტო, სუაზო, კაპონე
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: ბეგა, კონტი, ლუჩინი, ბონეტო
მსაჯი: რიცოლი
9 700 მაყურებელი

### ლეჩე 1:3 ფიორენტინა

1:0 პინადრი (45), 1:1 ფიორე (48), 1:2 ბოჟინოვი (53), 1:3 ტონი (62)
ლეჩე: სიჩინიანო, დიამუტენი, კასეტი, სტოვინი, პოლენგი (რულო 61), კამორანი, ლედესმა, დელ ვეკიო, პინარდი (ერემენკო 80), ვუჩინიჩი, კონანი (მარიანინი 76)
მწვრთნელი: ანჯელო გრეგუჩი
ფიორენტინა: ფრეი, დი ლორეტო, გამბერინი, უიფალოში, პანკარო, ბროკი, დონადელი, პასკუალი, ფიორე (პაციენცა 59), ბოჟინოვი (იორგენსენი 67), ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: კონანი, კასეტი, ტონი, პანკარო
გაძევება: დელ ვეკიო (64)
მსაჯი: დე სანტისი
12 775 მაყურებელი

### მესინა 0:0 ლივორნო

მესინა: სტორარი, რეზაი, ზორო, ფუსკო, ილიევი (სკული 62), არონიკა, კოპოლა, დონატი, დაგოსტინო (მამედე 62), დი ნაპოლი, მუსლიმოვიჩი (იანაგისავა 79)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

ლივორნო: ამელია, ვარგასი, გრანდონი, გალანტე, სეზარი, პერცლი, მორონე, დე აშენტი, ჩენპი (კოლუჩი 70), ლუკარელი, ბაკაიოკო (პალადინო 55)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: დონატი
მსაჯი: როსეტი
18 000 მაყურებელი

### პალერმო 1:0 რეჯინა

1:0 ტერლიცი (66)
პალერმო: სანტონი, ბარძალი, ძაკარდო, გროსო, ტერლიცი, სანტანა, კორინი (მუტარელი 28), ბარონე, ბონანი (ბრიენცა 54), მაკინვა (გონსალესი 79), კარაჩოლო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
რეჯინა: პელიცოლი, კანარსა, დ. ფრანჩესკინი, დე როსა, ლუკარელი, მესტო, პარედესი, ტედესკო, მისიროლი (კერავოლო 77), კოცა (ვიჯანი 59), კავალი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: დ. ფრანჩესკინი, ტედესკო, სანტანა
მსაჯი: როდომონტი
28 145 მაყურებელი

### ტრევიზო 0:2 სამპდორია

0:1, 0:2 ბონაცოლი (45, 48)
ტრევიზო: ძანკოპე, ვიალი, დელაფიორე, კოტაფავა, ჯულიატო, ე. ფილიპინი (კიაპარა 83), ა. ფილიპინი (პარავიჩინი 63), გალო, მუნტასერი (რეგინალდო 53), პინგა, ფავა
მწვრთნელი: ეციო როსი

სამპდორია: ანტონიოლი, კასტელილი, ძენონი, პავანი, პისანო, გასბარონი (პალომბო 57), ვოლპი, დალა ბონა (დიანა 70), ტონეტო, ფლაკი (ბორიელო 76), ბონაცოლი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ე. ფილიპინი, ვიალი, დელაფიორე
მსაჯი: ბანტი
12 000 მაყურებელი

### უდინეზე 0:1 იუვენტუსი

0:1 ვიეირა (37)
უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, ნატალი, ფელიპე, პინცი (ძენონი 21), ობოდო (როსინი 46), ვიდიგალი, მუნტარი, კანდელა, დი ნატალე, დი მიკელე (ბარეტო 78)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
იუვენტუსი: აბიატი, რ. კოვაჩი, კანავარო, ძამბროტა, ბლაზი, ჯანიკედა, ვიეირა, ემერსონი, ნედვედი (კამორანეზი 72), დელ პიერო (ზალაიეტა 72), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ობოდო, ბერტოტო, ნატალი, ნედველი
მსაჯი: აიროლდი
18 000 მაყურებელი

**არის** ოთხიდან ოთხი — „იუვენტუსმა“ უდინეში ფრანგი ნახევარმცველის პატრიკ ვიეირას დარტყმით გაიმარჯვა.

„ჩინებული გუნდის წინააღმდეგ ბრძოლით გაჯერებული მატჩი გვქონდა, — განაცხადა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, — პირველ ტაიმში ჩვენ ვითამაშეთ შესანიშნავად, შესვენების შემდეგ კი „უდინეზე“ იმსახურებდა გათანაბრებას“

მართლაც, „იუვე“ რობერტ კოვაჩს უნდა უმადლოდეს „უდინეზემ“ ანგარიში რომ ვერ გაათანაბრა. კოვაჩმა ერთ ეპიზოდში ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, თუმცა იყო მეორე ეპიზოდიც, როდესაც „ბებერი ქალბატონი“ გადარჩა: ამ ეპიზოდში კრისტიან აბიატიმ ისეთი დარტყმული მოიგერია, ათიდან ცხრა შემთხვევაში მეკარეს რომ ვერ უნდა მოეგერიებინა.

კაპელო: „ძალიან კმაყოფილი დავრჩი ნახევარმცველთა თამაშით. გვიხსნა აბიატიმაც და ამას გარდა მსურს მანუელე ბლაზის მარჯვენა მცველობა შევუქო. ის ახალ პოზიციაზე თამაშის ნიჭს ავლენს.“

ზემოხსენებულ ნახევარდაცვაში კაპელოს ჩვეული მაურო კამორანეზის მაგივრად ჯულიანო ჯანიკედა ჰყავდა დასაქმებული.

დამარცხებული „უდინეზეს“ თავკაცი, სერსე კოზმი კი ცხადია უკმაყოფილო ბრძანდებოდა: „ჩვენ ბურთის კარში შეგორება ვერ მოვახერხეთ. ისე კი თანაბარი თამაში იყო, მეტადრე პირველ ტაიმში, ხოლო მეორეს პირველ ხუთ წუთში „იუვენტუსმა“ შექმნა ჩვენს კართან სახიფათო მომენტები“.

და რასაკვირველია, ამ დღეებში „უდინეზეზე“ ლაპარაკი [illegible] იაკინტაზე ლაპარაკსაც ნიშნავს, რადგან, მოგეხსენებათ, [illegible] კონტრაქტის [illegible] დაისურვა და პასუხად კლუბმა დასაჯა, არ ათამაშებს. იაკინტას მაგიერი „იუვესთან“ ფაუსტო როსინი იყო.

სერსე კოზმი: „ფაუსტო როსინიმ დაამტკიცა, რომ ჩვენი გუნდის მნიშვნელოვანი მარაგი გახლდათ“

„მილანმა“ „ლაციო“ 2:0 დაამარცხა და იტალიურ ფეხბურთის კვლავ დაუბრუნდა შავ-წითელი ღიმილი, რომელიც ბოლო პერიოდში მიმქრალს ჰგავდა.

„თამაშის ტემპი გვისწრაფდება და ჩვენც ნაბიჯებს წინ ვდგამთ — განაცხადა ტვირთმოხსნილმა კარლო ანჩელოტიმ, — ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ერთი შეხედვით წვრილმანებს ვაუმჯობესებთ. მაგალითად, ბურთს უფრო კარგად ვფლობთ, სტანდარტული სიტუაციების დროს ყურადღებას მაქსიმალურად ვიკრებთ... საერთოდ, კრიტიკა ვიღებ, მაგრამ კრიტიკოსებსაც თანმიმდევრულობას ვურჩევ“

ანგარიში კარგად შესრულებული სოლო გოლით ანდრეი შევჩენკომ გახსნა — მარცხნიდან გზა მოჭრა და ახლო კუთხეში დაუმიზნა, რასაც ორიოდ წუთში ანდრეა პირლოს ერთი შეხედვით სრულიად უვნებელი ჩაწოდება და „ლაციოს“ მეკარის, მატეო სერენის უხეში შეცდომა მოჰყვა — სერენის ბურთი იღლიაში გაუძვრა და კაკას საჩუქრისთვის ფეხის მიკვრაღა დარჩა.

„ინტერს“ კიევოსთან გაუჭირდა, მაგრამ მოიგო. გადამწყვეტი აზბავი მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, როდესაც ლუიშ ფიგუმ კუთხურიდან ჩააწოდა, ხოლო ვალტერ სამუელმა დასცხო და გოლი გაიტანა. აი, ასეთი „რეალური“ კომბინაციით გაიმარჯვა შავ-ლურჯთა კომპანიამ, რაზეც მათმა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ თქვა:

„მზაკვრული ტესტი ჩავაბარეთ, მაგრამ ვიყოჩაღეთ. ერთადერთი, რაც არ მომეწონა ის გახლდათ, რომ თამაშის მიწურულს ამდენი არ უნდა გვეწვალა“

სტეფანო ფიორეს, ვალერი ბოჟინოვისა და ლუკა ტონის კაი ბიჭობით „ფიორენტინამ“ „ლეჩესთან“ 0:1 შემოატრიალა და მეორე ადგილს „პალერმოსთან“ იყოფს.

„პალერმომ“ ისევ იმარჯვა და კვლავ ჩინებულად მოთამაშე მცველის კრისტიან ტერლიცის გოლით.

**პაპუნა ძიძია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 ფიორენტინა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:6 | 5 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 |
| 3 პალერმო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 5 სამპდორია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 6 ლივორნო | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 7 რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 |
| 8 მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 9 ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 10 კიევო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 11 უდინეზე | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 12 სიენა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 13 პარმა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 14 ასკოლი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 15 მესინა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 16 ემპოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 17 კალიარი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 18 ლეჩე | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 19 რეჯინა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | -7 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 20 ტრევიზო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | -8 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 5 |
| ბონაცოლი (სამპდორია) | 4 |
| ადრიანო (ინტერი) | 3 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 3 |
| კრუზი (ინტერი) | 3 |
| მუნტარი (უდინეზე) | 3 |
| ტერლიცი (პალერმო) | 3 |
| ფიორე (ფიორენტინა) | 3 |
| ნონდა (რომა) | 3 |
| შევჩენკო (მილანი) | 3 |

### V ტური

24-25 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| კალიარი | : | რომა |
| ემპოლი | : | ლეჩე |
| ინტერი | : | ფიორენტინა |
| ლაციო | : | პალერმო |
| ლივორნო | : | ასკოლი |
| პარმა | : | იუვენტუსი |
| რეჯინა | : | უდინეზე |
| სამპდორია | : | კიევო |
| სიენა | : | მესინა |
| ტრევიზო | : | მილანი |

## სერია B

### V ტური

რიმინი 0:0 ვერონა
კრემონეზე 0:0 ტრიესტინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| ატალანტა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:7 | 12 |
| კატანია | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| მოდენა | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| ბრეშა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| არეცო | 5 | 2 | 2 | 1 | 5:2 | 8 |
| ვერონა | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| კროტონე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ვიჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| რიმინი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| ტრიესტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| პესკარა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| კრემონეზე | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| კატანძარო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| პიაჩენცა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ტერნანა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| ჩეზენა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ალბინოლეფე | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| აველინო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. IV ტური

**სარაგოსა 3:1 ოსასუნა**

1:0 დ. მილიტო (52), 2:0 ს. გარსია (82), 3:0 სავიო (83), 3:1 დელპორტე (90)
სარაგოსა: ვალბუენა, ალვარო, პონციო, გ. მილიტო, არანსაბალი, მოვილია, საპატერი (ხენერლო 79), ევერტონი, ოსკარი (კანი 72), სავიო, დ. მილიტო (ს. გარსია 68)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ოსასუნა: რიკარდო, ხ. ფლანო, კრუჩაგა, ხოსეჩო (მ. ფლანო 58), კორალესი, პუნიალი, ვალდო (ორტისი 75), დ. ლოპესი (მილოშევიჩი 61), მუნიოსი, დელპორტე, ვებო
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ევერტონი, გ. მილიტო, კორალესი, პუნიალი, მუნიოსი
მსაჯი: ფერნანდო ბორბალანი
32 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:2 ვალენსია**

1:0 ჟიული (45), 1:1, 1:2 ვილა (53პ, 54), 2:2 დეკო (81)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ოლეგერი, ედმილსონი (ინიესტა 74), ვან ბრონკჰორსტი, მარკესი (ბელეტი 63), ხავი, ჟიული, დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
ვალენსია: კანისარესი, აიალა, კანეირა, მარჩენა, მორეტი, ფ. აურელიო (უგო ვიანა 66), ალბელდა, რუფეტე აიმარი (მისტა 76), ვისენტე, ვილა (დი ვაიო 89)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
გაფრთხილება: დეკო, ედმილსონი, ალბელდა, ბელეტი, ვისენტე
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
77 458 მაყურებელი

**სოსიედადი 3:2 ატლეტიკო**

0:1 ტორესი (10), 0:2 კეჟმანი (19), 1:2 კოვაჩევიჩი (56), 2:2 ნიჰატი (79), 3:2 კოვაჩევიჩი (90)
სოსიედადი: რიესგო, ლაბაკა, მ. გონსალესი, კიფუ, გარიდო, მ. ალონსო, ნოვო, პრიეტო (ურანგა 75), არანბური, ნიჰატი (ლარეა 90), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, კალვო, ზაინოსი, ა. ლოპესი, მაქსი (ვარელა 60), ლუჩინი, გაბი (კოლსა 70), პეტროვი, კეჟმანი, ტორესი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
გაფრთხილება: ნ. ალონსო, კიფუ, გაბი, ტორესი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
21 493 მაყურებელი

**დეპორტივო 1:1 ბეტისი**

0:1 ოლივეირა (29), 1:1 ტრისტანი (45პ)
დეპორტივო: მოლინა, ნ. პაბლო, ანდრადე, კოლოჩინი, რომერო, რუბენი (სენელი 61; სკოლონი 69), დუშერი, სერხიო, კაპდევილა, ვალერონი (დეგუზმანი 83), ტრისტანი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, ვარელა, რივასი, ო. ლოპესი, მ. ანხელი, ხოაკინი, ასუნსაო (ფერნანდო 83), ხისკო (ისრაელი 64), ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: მ. ანხელი, ოლივეირა, ხისკო, ო. ლოპესი, ხუაკინი, რუბენი, სერხიო, ანდრადე, დე გუზმანი
მსაჯი: მეხია დავიდა
18 000 მაყურებელი

**ხეტაფე 1:1 მალიორკა**

1:0 ბუისა (7), 1:1 ნავარო (88)
ხეტაფე: ლუისი, მატელანი, ბელენგერი, კონტრა, პერნია, დ. რივასი, სელესტრინო, პაუნოვიჩი (კრაიოვიანი 64), რიკი (პაჩონი 84), გავილანი (მ. კოტელო 79), გუიზა
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
მალიორკა: მოია, პოტენცა, ბალესტეროსი, ბასიელი, ნავარო, კამპანო, ბორხა, დონი (ოკუბო 67), პერალტა (ტონი 55), იორდი (ხუტოსი 63), არანგო
მწვრთნელი: ვექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კონტრა, დ. რივასი, პერნია, დონი, პოტენცა
მსაჯი: რამირეს დომინგესი
12 000 მაყურებელი

**მალაგა 0:0 ალავესი**

მალაგა: არნაუ, ს. ნავასი, ხერარდო, ფ. სანსი, ვალკარსე, ედგარი (სალვა 5), ანდერსონი, ნაჩო, დუდა, იდალგა (მანუ 77), მორალესი (ესტებანი 53)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
ალავესი: კონსტანსო, ედუ ალონსო (გასპარი 62), პელეგრინო, ხუანიტო, კორომინასი, დე ლუკასი, ასტუდილიო, კარპინტერო, ნენე, ხანდრო (მენა 62), ალოიზი (ანტხუერტი 70)
მწვრთნელი: კუკი კოსი
გაფრთხილება: ალოიზი, მორალესი, ალონსო, სილვა, სილვა, ხერარდო
გაძევება: სილვა (87)
მსაჯი: ევარისტო პუენტეს ლეირა
20 000 მაყურებელი

**სევილია 0:0 კადისი**

სევილია: პალოპი, დ. ალვესი, ხ. ნავარო (მარესკა 65), დრაგოტინოვიჩი, დავიდი, ხ. ნავასი, ხორდი (რენატო 70), მარტი, ადრიანო, ფაბიანო, კეპა
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
კადისი: არმანდო, დე კინტანა, ვარელა, პასი, რ. ლოპესი, სუარესი (ბენხამინი 57), ფლერკინი (ესტოიანოფი 74), ენრიკე (მედინა 82), ხონათანი, პავონი, ოლი
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: ხ. ნავარო, დავიდი, ფაბიანო, ფლერკინი, დე კინტანა, რ. ლოპესი, ენრიკე, ესტოიანოფი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
40 000 მაყურებელი

**რასინგი 1:0 ესპანიოლი**

1:0 ანტონიტო (70)
რასინგი: აუატე, სამოელი, მორატონი, პინილოსი, აიოზე, კასკერო, ვიტოლო, რაული (აგანსო 46), დალმა, სერანო (ხონათანი 78), ანტონიტო (მატაბუენა 88)
მწვრთნელი: მანოლო პესიადო
ესპანიოლი: კამენი, სა, ლოპო, ხარკე, დ. გარსია, დონი, ფრედსონი (დე ლა პენია 60), კოსტა (კორო 84), რიერა (იტო 60), ხუანფრანი, ლუის გარსია
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: მორატონი, ვიტორო, სერანო, ხუანფრანი, დე ლა პენია, სა, იტო, დ. გარსია
მსაჯი: მიგელ ანხელ პერეს ლიმა
12 995 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:2 სელტა**

0:1, 0:2 ბაიანო (27, 46), 1:2 რიკელმე (81)
ვილიარეალი: ვიერა, გონსალო, ვენტა, პენია, არუაბარენა, სენა (როხერი 59), ტაკინარდი, კასორლა (ლუჩო 59), რიკელმე, ფორლანი, ხოსე მარი (იარე 68)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
სელტა: პინტო, ანხელი, კონტრერასი, ენრიკე, სერხიო, ოუბინა, ირინეი (ჯოვანელა 56), ნუნიესი, სილვა, ხორხე (გ. ლოპესი 67), ბაიანო (ხ. გერერო 75)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: გონსალო, ოუბინა, კონტრერასი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
17 000 მაყურებელი

**რეალი — ბილბაო**

*გუშინ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# სანამ ძველები თვლემენ

## პრიმერას სეგუნდელები ლიდერობენ



დეპორტივო — ბეტისი 1:1. „რიასორის“ დაძაბულ მატჩში ანტონიო დობლასისა (მარცხნივ) და ხუან კაპდევილას შეჯახების მსგავსი ბევრი იყო

AFP და კორბუნიდან

**რომელ** ადგილზეა „რეალი“? გუშინ საღამოს, როცა ეს მიმოხილვა დაიწერა, ზოგის გულის გასახარად, ზოგის კი გასახეთქად, „რეალი“ გასავარდნია ზონაში იყო, მაგრამ იმათაც და ამათაც ხომ იციან, რომ დედაქალაქური კლუბი, იმდენს მაინც მოახერხებს, ამ ზონიდან გავარდება.

ამგვარი შესავლის გაკეთება ცხრილში ჩახედვამ გვაიძულა, თორემ „რეალის“ ხსენებას აქ საერთოდ არ ვაპირებდით. ქვემოთ იმათი ამბები მოვყვეთ, მეოთხე ტურის მატჩები ოთხშაბათ ღამით რომ ჩაატარეს.

ანდალუსიურ დერბიში „კადისი“ მეტად ახლოს იყო გამარჯვებასთან, რაკილა პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ენრიკეს წაქცევისთვის „სევილიას“ კარში პენალტი დაინიშნა. კი დაინიშნა, მაგრამ გამოიყენეს რო?! შესრულება კლასელმა მცველმა აბრაამ პასმა ითავა და ბურთი კარს ააცილა.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე პენალტი მეორე სევილიური კლუბის, „ბეტისის“ კარშიც დაინიშნა მიგელ ანხელის წინააღმდეგ უხეშობის გამო, რომელიც დიეგო ტრისტანმა შეაგდო და თავის „დეპორტივოს“ ამით ქულა გადაურჩინა — „ბეტისი“ იქამდე რიკარდო ოლივეირას გოლით იგებდა. უფრო საინტერესო ამ უხეშ მატჩში კი სამი არჩათვლილი გოლი გახლდათ.

ტურის მთავარი მატჩი კი, რა თქმა უნდა, „კამპ ნოუზე“ გაიმართა სადაც „ვალენსია“ სტუმრობდა.

აქაც პირველი გოლი პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გავიდა. „ბარსას“ მთავარმცველე სამუელ ეტოომ ბრწყინვალე მეპასეობა იკისრა და ლუდოვიკ ჟიულის შორ კუთხეში გაიტანა.

ტაიმი კი დასრულდა „ბარსას“ სახეიროდ, მაგრამ მეორეში დავიდ ვილიამ ერთწუთიან მონაკვეთში ორი გოლი შეუგდო მასპინძლებს. ჯერ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აქცია გოლად, წამებში კი მეკარე ვალდესი უხეში შეცდომისთვის დასაჯა.

„ბარსა“ რონალდინიომ და დეკომ იხსნა წაგებისგან — ბრაზილიელის ჩაწოდებული ბურთი სანტიაგო კანისარესმა კი დაიჭირა, მაგრამ რატომღაც ვერ შეიმაგრა და პორტუგალიელმა გაათანაბრა, ისე კი ორივე გუნდის მეკარის არასახარბიელო თამაშიც თვალსაჩინო იყო.

აი, „სელტას“ გაჩემპიონებისა კი, არ გვგონია, ბევრს ეიმედებოდეს, თუმცა გალისიური კლუბი უკვე მტად რჩება პირველ ადგილზე. თანაც ვიგოელებმა ამ ტურში სტუმრად დაამარცხეს „ვილიარეალი“ — შარშანდელი მესამეადგილოსანი. ამ სეზონშიც ლიდერთა შორის ყოფნას რომ უქადდნენ, ცხრილის ფსკერზე ლაფავს სულს.

ვიგოელთა ორივე გოლი ბრაზილიელმა ფერნანდო ბაიანომ გაიტანა. ბოლოსკენ რომან რიკელმემ ერთი ბურთი კი გაქვითა და ისიც რიკოშეტით, მაგრამ ამან „ვილიარეალს“ პირველი გამარჯვება ეგრეც ვერ მოაპოვებინა.

არადა, ლიდერი „სელტას“ მაგიერ „ხეტაფე“ იქნებოდა, „მალიორკასთან“ ორი წუთიც რომ გაეძლო. მატჩის 88-ე წუთი მიდიოდა, კუნძულელმა ფერნანდო ნავარომ 40 მეტრიდან რომ გაისროლა იქამდე, მატჩის დასაწყისშივე, ხეტაფელმა დანიელ გუისამ მეკარის ბურთი თავზე გადაავლო და ანგარიში გახსნა.

**კოტე კეკელია**



სამუელ ეტოო და მისი „ბარსელონა“ დავიდ ალბელდას „ვალენსიას“ ვერ გადაახტა

AFP ბარსელონიდან

| № | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სელტა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 |
| 2 ხეტაფე | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 3 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 |
| 3 დეპორტივო | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 სარაგოსა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 5 ვალენსია | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 1 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 6 რასინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:2 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 7 ოსასუნა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 8 ესპანიოლი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 9 სოსიედადი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:11 | -4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | -6 | 0 |
| 10 ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 11 კადისი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 12 ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 13 სევილია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 14 ბილბაო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 15 მალიორკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 16 ატლეტიკო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 17 მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 18 რეალი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 19 ალავესი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 20 ვილიარეალი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილა (ვალენსია) | 4 |
| ბაიანო (სელტა) | 3 |
| რიკი (ხეტაფე) | 3 |
| სამუელ ეტოო (ბარსელონა) | 3 |
| ნენე (ალავესი) | 3 |
| არანგო (მალიორკა) | 3 |

**V ტური**

24-25 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია | : | სოსიედადი |
| ბეტისი | : | ბარსელონა |
| სარაგოსა | : | დეპორტივო |
| სელტა | : | სევილია |
| ესპანიოლი | : | ვილიარეალი |
| ბილბაო | : | რასინგი |
| ალავესი | : | რეალი |
| მალიორკა | : | მალაგა |
| ატლეტიკო | : | ხეტაფე |
| ოსასუნა | : | კადისი |

# ტრაპატონის ავანსი მოჰკითხეს



AFP ბერლინიდან

ჰერტა — დუისბურგი 3:2. ნანდო რაფაელმა (მარჯვნივ) მასპინძლებს ბოლო წუთზე მოაგებინა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VI ტური

**ლევერკუზენი 2:1 კიოლნი**

1:0 ვორონინი (25), 2:0 როლფსი (67), 2:1 ჰელმესი (77)
**ლევერკუზენი:** ბუტი, ჟუანი (მადური 76), რამელოვი, როკე ჟუნიორი, კ ფრიცი, კასტრო, როლფსი, ატირსონი, ბ. შნაიდერი, ვორონინი (დუმი 90), ბერბატოვი
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
**კიოლნი:** ვესელსი, შრიკე, სინკიევიჩი, მატიპი, ლელი, სინკალა (გიენიანი 32), ა. შტრაიტი (პ. მადსენი 70), ლურლინგი (ჰელმესი 61), მოხტარი, შერცი, პოდოლსკი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: რამელოვი, კასტრო, დუმი, ლელი, პოდოლსკი
გაძევება: ბ. შნაიდერი (89), შერცი (89)
მსაჯი: მეიერი
22 500 მაყურებელი

**ჰერტა 3:2 დუისბურგი**

1:0 პანტელიჩი (6), 1:1 გრლიჩი (32), 1:2 ბილიშკოვი (53), 2:2 მარსელინიო (71პ), 3:2 რაფაელი (90)
**ჰერტა:** ფიდლერი, ვან ბურიკი (მადლუნგი 46), ა. ფრიდრიხი, სიმუნიჩი, ფატი, ნ. კოვაჩი (სამბა 89), კაირო, ბაშტურკი, ნოიენდორფი (რაფაელი 55), მარსელინიო, პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
**დუისბურგი:** გ. კოხი, ტიკუზუ, მიორლე, ბილიშკოვი, ა. მეიერი, ბაელუმი, ბუგერა, გრლიჩი, ლოტნერი (ანფანგი 74), აჰანფუფი (ვან ჰუდტი 80), ლავრიჩი (კურტი 11)
მწვრთნელი: ნორბერტ მაიერი
გაფრთხილება: პანტელიჩი, ნ. კოვაჩი, გ. კოხი, გრლიჩი, ბაელუმი, ტიკუზუ
მსაჯი: მერკი
30 627 მაყურებელი

**ლაუტერნი 0:2 მაინცი**

0:1 ტურკი (38), 0:2 აუერი (90)
**ლაუტერნი:** მახო, ჰერჩი, პლეჩი, მეტომო (ზაიცი 72), ვენცელი, როიტერი, სფორცა, ენგელჰარდტი (ზანდი 87), გიოკტანი (ტ. რიდლი 46), სკელა, ჰალილ ალტინტოპი
მწვრთნელი: მიხაელ ენკე
**მაინცი:** ვახე, აბელი, ნოვესკი, მ. ფრიდრიხი, ვაიგელტი, პეკოვიჩი, ფ. გერბერი (როსე 90), და სილვა, ტურკი, რუმანი (გეისლერი 76), ზიდანი (აუერი 76)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ტ. რიდლი, მეტომო, როიტერი, პეკოვიჩი
გაძევება: სფორცა (44)
მსაჯი: ვოკი
39 123 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:1 შალკე**

1:0 კიესლინგი (21), 1:1 ლარსენი (65)
**ნიურნბერგი:** შეფერი, ლენსე, ნიკლი, ვოლფი (პაულუსი 50), პინოლა, კანტალუპი, პოლაკი, ვიტეკი, ს. მიულერი, კიესლინგი (შ. შროტი 46), დაუნი (ბანოვიჩი 78)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
**შალკე:** როსტი, ბორდონი, რაფინია, კრსტაიჩი, **ქობიაშვილი**, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, ლინკოლნი (პაულსენი 89), ვარელა (ლარსენი 46), კურანი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: პინოლა, ს. მიულერი, კრსტაიჩი, ბორდონი, კურანი
მსაჯი: ვაგნერი
25 910 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:2 ჰამბურგი**

0:1 ვან დერ ვაარტი (32), 1:1 გომესი (53), 1:2 იაროლიმი (88)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ფ. მეირა (შტანცლი 84), ჰინკელი, დელ პიერი, მანინი, სოლდო, მაისნერი (გენტნერი 46), ჰიტცლშპერგერი (გომესი 56), გრონკიაერი, ტომასონი, კაკაუ
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
**ჰამბურგი:** ვეხტერი, ბულარუზი, კლინგბეილი (რეინჰარდტი 76), ვან ბუიტენი, ატუბა, ბაინლიხი, მაჰდავიკია (ტროხოვსკი 37), იაროლიმი, ვან დერ ვაარტი, ლაუტი (მპენზა 81), ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ჰიტცლშპერგერი, მანინი, გრონკიაერი
მსაჯი: ფლეშერი
34 000 მაყურებელი

**ჩემპიონობის** მსურველმა „შალკემ“ მიჯრით მეოთხე ფრე ითამაშა და „ბაიერნს“ უკვე რვა ქულით ჩამორჩება. „ხუმარები“ ნიურნბერგშიც აგებდნენ, ისევე როგორც წინა ხუთ მატჩში, მაგრამ ქულის გადარჩენა მოახერხეს. მასპინძლები შტეფან კიესლინგის გოლით დაწინაურდნენ, ხოლო სტუმართაგან გამთანაბრებელი სორენ ლარსენმა მიითვალა — მეკარის მოგერიებულს საგოლედ დაამატა.

ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტმა“ კვლავ აურია. გასულ უქმეებზე მაინცში მოგებას „ჰამბურგთან“ საშინაო მარცხი მიაყოლა. რაფაელ ვან დერ ვაარტმა საჯარიმოს გარედან დარტყმულით გახსნა ანგარიში, მარიო გომესმა კი გრონკიაერის პასით გაქვითა. შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე დავიდ იაროლიმმა ჰამბურგელთა გამარჯვებისა გაიტანა.

„შტუტგარტის“ პრეზიდენტმა დიტერ ჰუნდტმა ნამატჩევს თქვა: „ტრაპატონის კრიტიკას არ ვაპირებ, მაგრამ დროა, რომ გაცემული ავანსი გაამართლოს“.



AFP ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — კიოლნი 2:1. სტუმრების კარში პირველი გოლი ანდრეი ვორონინისა (№12) იყო

ბერლინის „ჰერტამ“ „დუისბურგი“ ბოლოწამს დაამარცხა. დედაქალაქელები პანტელიჩმა მალევე დააწინაურა, თუმც სტუმრებმა გრილიჩის და ბილიშკოვის თავური გოლებით უპასუხეს. მარსელინიომ პენალტით გაათანაბრა, ხოლო ნანდო რაფაელმა მაშინ იხეირა, როცა დამთავრებას წამები აკლდა. „ჰერტა“ ოთხეულში შეძვრა, ხოლო „დუისბურგს“ ჯერ თამაში არ მოუგია.

„მაინცმა“ პირველი გამარჯვება კაიზერსლაუტერნში იზეიმა და ბოლო ადგილიდან დაიძრა. მაინცელებმა შესვენებამდე მიხაელ ტურკის გოლით გაიხარეს, რასაც მასპინძელი ჩირიაკო სფორცას გაძევება დაემატა. შვეიცარიელი მეტოქესთან უხეშობის გამო გაადგეს. ათკაცა „ლაუტერნმა“ შეტევაში გალია მეორე ტაიმი და ბოლოს ბენჟამინ აუერისგან მეორე გოლი გაუშვა.

ლევერკუზენის „ბაიერმა“ რუდი ფიოლერის ხელში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და მეხუთე საფეხურს უწია. „ფარმაცევტები“ ვორონინისა და როლფსის გოლებით დაწინაურდნენ, „თხებმა“ კი პატრიკ ჰელმსის ერთით უპასუხეს. შეხვედრის მიწურულს შნაიდერმა და შერცმა იჩხუბეს და მსაჯმა ორივე გააძევა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 6 | 6 | 0 | 0 | 15:3 | 12 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 9 |
| 2 ჰამბურგი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 14 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 5 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 |
| 3 ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:8 | 9 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 6 |
| 4 ჰერტა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 3 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | -3 | 2 |
| 5 ლევერკუზენი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:11 | 2 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 |
| 6 შალკე | 6 | 2 | 4 | 0 | 7:5 | 2 | 10 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 7 კიოლნი | 6 | 3 | 0 | 3 | 10:10 | 0 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 8 ვოლფსბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:10 | 0 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 9 დორტმუნდი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |
| 10 გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 |
| 11 ლაუტერნი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | -4 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:10 | -4 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 12 შტუტგარტი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 13 ჰანოვერი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 14 არმინია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 1 |
| 15 აინტრახტი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 16 ნიურნბერგი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 |
| 17 მაინცი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | -6 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 18 დუისბურგი | 6 | 0 | 2 | 4 | 9:15 | -6 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 6:10 | -4 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 7 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| კლოზე (ვერდერი) | 6 |

### VII ტური

24-25 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ვერდერი | : | ლევერკუზენი |
| არმინია | : | გლადბახი |
| მაინცი | : | დორტმუნდი |
| შტუტგარტი | : | ლაუტერნი |
| ვოლფსბურგი | : | აინტრახტი |
| შალკე | : | ჰანოვერი |
| დუისბურგი | : | ნიურნბერგი |
| კიოლნი | : | ჰერტა |
| ჰამბურგი | : | ბაიერნი |

## მეორე ბუნდესლიგა

### VI ტური

**ალემანია 6:2 ალენი**

1:0 მეიერი (4), 2:0 შლაუდრაფი (34), 3:0 სუკალო (37), 4:0 შტელე (50), 4:1 პაჩინსკი (52პ), 5:1 პინტო (56პ), 6:1 შლაუდრაფი (70), 6:2 ველკობორსკი (75)

**აუე 2:0 ზაარბრიუკენი**

1:0 ჰელერი (32), 2:0 იუსკოვიაკი (65)

**პადერბორნი 1:2 ფიურტი**

1:0 დრაგუშა (44), 1:1 ეიგლერი (60), 1:2 ფოხსი (78)

**ბურგჰაუზენი 0:1 კოტბუსი**

0:1 საჰინი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:5 | 14 |
| კოტბუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 13 |
| ალემანია | 6 | 4 | 0 | 2 | 16:11 | 12 |
| მიუნხენი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| ფრაიბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| ზიგენი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| პადერბორნი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| აუე | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | 9 |
| ოფენბახი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:14 | 9 |
| კარლსრუე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | 8 |
| ფიურტი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| უნტერჰახინგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ჰანზა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| ალენი | 6 | 0 | 1 | 5 | 6:15 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:19 | 1 |

# ნოემბრის დასასრული

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. VIII ტური**

**ტულუზი 1:0 მარსელი**

1:0 ბერგუნო (11)
გაძევება: არიბაჟე (21, ტულუზი)

**მეცი 1:2 ოსერი**

0:1 მინო (34), 0:2 ლუინდულა (88), 1:2 ნდიაე (90)

**ნიცა 1:0 ლე მანი**

1:0 ბაგაიკო (21)

**აიაჩო 0:0 სტრასბური**

**სენტ ეტიენი 0:2 ნანსი**

0:1 ლეკლუსი (32), 0:2 სარქისიანი (66)

**სოშო 1:0 ნანტი**

1:0 დაგანო (51)

**რენი 2:2 ბორდო**

0:1 შმიცერი (43), 1:1 კალსტიომი (28), 1:2 შამახი (51), 2:2 მონტრებიუ (60)

**ტრუა 1:2 მონაკო**

1:0 გრაქსი (32), 1:1 ადებაიორი (57), 1:2 გივე (76)
გაძევება: კუბილარი, ჟერარდი (54, 67, მონაკო)

**პსჟ 2:1 ლილი**

0:1 ფოვერჟე (4), 1:1, 2:1 პაულეტა (14, 54)

**ლიონი — ლანსი**

*გუშინ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*



AFP

პსჟ — ლილი 2:1. პარიზელები პედრო პაულეტას პირველ გოლს ზეიმობენ

| 16105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.25 | 3.20 |
| 16106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.45 | 2.30 |
| 16107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 16108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1.25 | 3.30 |
| 16109 | კიოლნი-ჰერტა | 1.90 | 1.60 |
| 16214 | რეჯინა-უდინეზე | 2.10 | 1.50 |
| 16215 | პარმა-იუვენტუსი | 2.40 | 1.40 |
| 16216 | სამპდორია-კიევო | 1.20 | 3.20 |
| 16217 | სიენა-მესინა | 1.45 | 2.20 |
| 16218 | ტრევიზო-მილანი | 4.70 | 1.10 |
| 16219 | ლივორნო-ასკოლი | 1.20 | 3.20 |
| 16220 | კალიარი-რომა | 2.40 | 1.40 |
| 16221 | ლაციო-პალერმო | 1.65 | 1.90 |
| 16222 | ემპოლი-ლეჩე | 1.40 | 2.40 |
| 16223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.20 | 3.20 |
| 16275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.60 | 1.90 |
| 16276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.20 | 3.30 |
| 16277 | მალიორკა-მალაგა | 1.40 | 2.50 |
| 16278 | ოსასუნა-კადისი | 1.35 | 2.60 |
| 16279 | ბეტისი-ბარსელონა | 2.10 | 1.50 |
| 16280 | სელტა-სევილია | 1.50 | 2.20 |
| 16281 | ესპანიოლი-ვილარეალი | 1.50 | 2.20 |
| 16282 | ალავესი-რეალი | 3.00 | 1.20 |
| 16283 | ბილბაო-რასინგი | 1.30 | 2.80 |
| 16284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.30 | 2.80 |

## გოლი: წყვილი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ევერტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ნიუკასლი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | მაინცი-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | კიოლნი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17214 | რეჯინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17215 | პარმა-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | სამპდორია-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17217 | სიენა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17218 | ტრევიზო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ლივორნო-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | კალიარი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ლაციო-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ემპოლი-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.75 | 1.95 |
| 17276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17277 | მალიორკა-მალაგა | 1.85 | 1.95 |
| 17278 | ოსასუნა-კადისი | 1.85 | 1.95 |
| 17279 | ბეტისი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17280 | სელტა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17281 | ესპანიოლი-ვილარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17282 | ალავესი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | ბილბაო-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.80 | 2.00 | 2.50 | 1.31 | 1.50 | 1.11 |
| 10003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.20 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10004 | ევერტონი-უიგანი | 2.15 | 2.10 | 4.50 | 1.06 | 1.45 | 1.43 |
| 10005 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.40 | 2.90 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.05 |
| 10006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 4.80 | 2.00 | 2.10 | 1.41 | 1.46 | 1.02 |
| 10007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.40 | 2.90 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 2.05 |
| 10008 | ნიუკასლი-სიტი | 2.50 | 2.00 | 3.80 | 1.11 | 1.50 | 1.31 |
| 10009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |
| 10011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |
| 10101 | მაინცი-დორტმუნდი | 3.30 | 2.10 | 2.75 | 1.28 | 1.50 | 1.19 |
| 10102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3.60 | 2.00 | 2.25 | 1.28 | 1.38 | 1.05 |
| 10103 | შალკე-ჰანოვერი | 1.85 | 2.20 | 5.80 | 1.00 | 1.40 | 1.59 |
| 10104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.20 | 2.00 | 4.40 | 1.04 | 1.46 | 1.37 |
| 10105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.50 | 2.00 | 3.40 | 1.11 | 1.44 | 1.25 |
| 10107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2.70 | 2.00 | 3.30 | 1.14 | 1.48 | 1.24 |
| 10108 | შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი | 2.10 | 2.00 | 5.00 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10109 | კიოლნი-ჰერტა | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10214 | რეჯინა-უდინეზე | 4.00 | 2.00 | 2.45 | 1.33 | 1.51 | 1.10 |
| 10215 | პარმა-იუვენტუსი | 5.30 | 2.20 | 1.80 | 1.55 | 1.34 | 1.00 |
| 10216 | სამპდორია-კიევო | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10217 | სიენა-მესინა | 2.60 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.50 | 1.28 |
| 10218 | ტრევიზო-მილანი | 6.20 | 2.50 | 1.60 | 1.78 | 1.27 | 1.00 |
| 10219 | ლივორნო-ასკოლი | 2.00 | 2.00 | 5.20 | 1.00 | 1.44 | 1.44 |
| 10220 | კალიარი-რომა | 4.20 | 2.00 | 2.30 | 1.35 | 1.48 | 1.06 |
| 10221 | ლაციო-პალერმო | 2.85 | 2.00 | 3.20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10222 | ემპოლი-ლეჩე | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10223 | ინტერი-ფიორენტინა | 2.00 | 2.10 | 5.20 | 1.02 | 1.44 | 1.49 |
| 10275 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10277 | მალიორკა-მალაგა | 2.40 | 2.00 | 3.70 | 1.09 | 1.45 | 1.29 |
| 10278 | ოსასუნა-კადისი | 2.30 | 2.00 | 4.10 | 1.06 | 1.47 | 1.34 |
| 10279 | ბეტისი-ბარსელონა | 3.60 | 2.00 | 2.45 | 1.28 | 1.45 | 1.10 |
| 10280 | სელტა-სევილია | 2.60 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.45 | 1.24 |
| 10281 | ესპანიოლი-ვილარეალი | 2.60 | 2.00 | 3.20 | 1.13 | 1.43 | 1.23 |
| 10282 | ალავესი-რეალი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10283 | ბილბაო-რასინგი | 2.15 | 2.00 | 4.80 | 1.03 | 1.48 | 1.41 |
| 10284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.15 | 2.00 | 4.80 | 1.03 | 1.48 | 1.41 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ბირმინგემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ევერტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ნიუკასლი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | მაინცი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | შალკე-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15108 | შტუტგარტი-კაისერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | კიოლნი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | რეჯინა-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | პარმა-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | სამპდორია-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | სიენა-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | ტრევიზო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ლივორნო-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15220 | კალიარი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | ლაციო-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | ემპოლი-ლეჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | ინტერი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | ვალენსია-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15277 | მალიორკა-მალაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15278 | ოსასუნა-კადისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | ბეტისი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | სელტა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | ალავესი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | ბილბაო-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ბირმინგემი-ლივერპული | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11004 | ევერტონი-უიგანი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11008 | ნიუკასლი-სიტი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11011 | ტოტენჰემი-ფულემი | 2.05 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11101 | მაინცი-დორტმუნდი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11103 | შალკე-ჰანოვერი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11108 | შტუტგარტი-კაისერსლაუტერნი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11109 | კიოლნი-ჰერტა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11214 | რეჯინა-უდინეზე | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.50 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11215 | პარმა-იუვენტუსი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11216 | სამპდორია-კიევო | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11217 | სიენა-მესინა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11218 | ტრევიზო-მილანი | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.90 |
| 11219 | ლივორნო-ასკოლი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11220 | კალიარი-რომა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11221 | ლაციო-პალერმო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11222 | ემპოლი-ლეჩე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11275 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11276 | ვალენსია-სოსიედადი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11277 | მალიორკა-მალაგა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11278 | ოსასუნა-კადისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11279 | ბეტისი-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.10 |
| 11280 | სელტა-სევილია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11282 | ალავესი-რეალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11283 | ბილბაო-რასინგი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ბირმინგემი-ლივერპული | 2.20 | 1.70 |
| 14003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.90 | 1.90 |
| 14004 | ევერტონი-უიგანი | 1.55 | 2.30 |
| 14005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.05 | 2.90 |
| 14006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 2.40 | 1.40 |
| 14007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.05 | 2.90 |
| 14008 | ნიუკასლი-სიტი | 1.65 | 2.20 |
| 14009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.45 | 2.40 |
| 14010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.30 | 2.50 |
| 14101 | მაინცი-დორტმუნდი | 2.00 | 1.80 |
| 14102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 2.10 | 1.70 |
| 14103 | შალკე-ჰანოვერი | 1.25 | 2.50 |
| 14104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.45 | 2.40 |
| 14105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.35 | 2.50 |
| 14106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.70 | 2.10 |
| 14107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.80 | 2.00 |
| 14108 | შტუტგარტი-კაისერსლაუტერნი | 1.40 | 2.40 |
| 14109 | კიოლნი-ჰერტა | 1.95 | 1.85 |
| 14214 | რეჯინა-უდინეზე | 2.10 | 1.75 |
| 14215 | პარმა-იუვენტუსი | 2.40 | 1.45 |
| 14216 | სამპდორია-კიევო | 1.45 | 2.40 |
| 14217 | სიენა-მესინა | 1.75 | 2.10 |
| 14218 | ტრევიზო-მილანი | 2.60 | 1.20 |
| 14219 | ლივორნო-ასკოლი | 1.40 | 2.40 |
| 14220 | კალიარი-რომა | 2.10 | 1.70 |
| 14221 | ლაციო-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14222 | ემპოლი-ლეჩე | 1.65 | 2.20 |
| 14223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.30 | 2.50 |
| 14275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 14276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.30 | 2.50 |
| 14277 | მალიორკა-მალაგა | 1.65 | 2.30 |
| 14278 | ოსასუნა-კადისი | 1.60 | 2.20 |
| 14279 | ბეტისი-ბარსელონა | 2.10 | 1.70 |
| 14280 | სელტა-სევილია | 1.75 | 2.00 |
| 14281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.75 | 2.00 |
| 14282 | ალავესი-რეალი | 2.40 | 1.40 |
| 14283 | ბილბაო-რასინგი | 1.45 | 2.40 |
| 14284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.45 | 2.40 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 2.00 | 1.60 |
| 13008 | ნიუკასლი-სიტი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13101 | მაინცი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13103 | შალკე-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 13104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 13106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13108 | შტუტგარტი-კაისერსლაუტერნი | 1.70 | 1.90 |
| 13109 | კიოლნი-ჰერტა | 1.70 | 1.90 |
| 13214 | რეჯინა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13215 | პარმა-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13216 | სამპდორია-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13217 | სიენა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13218 | ტრევიზო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13219 | ლივორნო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13220 | კალიარი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13221 | ლაციო-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13222 | ემპოლი-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 13276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.90 | 1.70 |
| 13277 | მალიორკა-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 13278 | ოსასუნა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 13279 | ბეტისი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13280 | სელტა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13282 | ალავესი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 13283 | ბილბაო-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12002 | ბირმინგემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12003 | ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | ევერტონი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ვესტ ჰემი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 12007 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 12008 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 1.70 |
| 12009 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | მიდლსბრო-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12101 | მაინცი-დორტმუნდი | 2.00 | 1.65 |
| 12102 | ჰამბურგი-ბაიერნი | 2.00 | 1.65 |
| 12103 | შალკე-ჰანოვერი | 2.00 | 1.65 |
| 12104 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.55 |
| 12105 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.00 | 1.65 |
| 12106 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.00 | 1.65 |
| 12107 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2.00 | 1.65 |
| 12108 | შტუტგარტი-კაისერსლაუტერნი | 2.00 | 1.65 |
| 12109 | კიოლნი-ჰერტა | 2.00 | 1.65 |
| 12214 | რეჯინა-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 12215 | პარმა-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12216 | სამპდორია-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 12217 | სიენა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12218 | ტრევიზო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12219 | ლივორნო-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12220 | კალიარი-რომა | 1.90 | 1.70 |
| 12221 | ლაციო-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 12222 | ემპოლი-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12223 | ინტერი-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 12275 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12276 | ვალენსია-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12277 | მალიორკა-მალაგა | 1.70 | 1.90 |
| 12278 | ოსასუნა-კადისი | 1.70 | 1.90 |
| 12279 | ბეტისი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12280 | სელტა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12281 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12282 | ალავესი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12283 | ბილბაო-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12284 | ატლეტიკო-ხეტაფე | 1.70 | 1.90 |

# დღეს მთავარი თამაშია

## საქართველოს XVI ჩემპიონატი

თბილისი. ასა-ს დარბაზი

პირველი წრე. 22 სექტემბერი

**ხ/კ თბილისი 43:14 თელავი**

**ხ/კ თბილისი:** ხეთურიძე, გონჩაროვი, სამარღანიშვილი (გაიტანა 11 გოლი), ქირია (11), ლალანიძე (5), ფორაქიშვილი (4), მამასახლისი (4), ქარდავა (4), ნატროშვილი (2), გელა არაბული (1), სულიკაშვილი (1), გრიშიკაშვილი, ჟღენტი

**თელავი:** ბადურაშვილი, ამბარდანიშვილი (1), მეტრეველი (8), ხატიაშვილი (2), გიორგელაშვილი (1), ჩიკვაიძე (1), სვიმონიშვილი (1), ხარებაშვილი, იაგორაშვილი, მამულაშვილი

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**სტუ-შევარდენი 38:24 სსსსუ-მამული**

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, წივწივაძე (11), ამირან ყიფიანი (6), კობახიძე (6), ცოტაძე (5), ჯიშკარიანი (3), ომარ ყიფიანი (3), ტალახაძე (2), ნადირაძე (1), ჩუბინაშვილი (1), ქუთათელაძე

**სსსსუ-მამული:** ხონელიძე, შათირიშვილი (6), ზაქარიაშვილი (5), გობეჯიშვილი (3), მაისურაძე (3), გელაშვილი (2), სიხარულიძე (2), მამაცაშვილი (1), ხუციშვილი (1), შონია (1), გიორგი არაბული, კიზირია, ყაველაშვილი

*მსაჯები:* ელენე არაბული, ზურაბ ქოქოსაძე

**გუშინდელ** ცენტრალურ მატჩზე, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, სათქმელი ბევრიც არაფერია. წინა დღეს ვიცე-ჩემპიონ „თბილისთან“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამული“ გუშინ ტოლ-სწორად ვერ გაუმკლავდა უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენს“.

ორივე გუნდმა სეზონის წინ შემადგენლობაში ძირეული ცვლილება განიცადა, რამაც, ცხადია, მათ თამაშს საგრძნობი კვალი დააჩნია, თუმც ეს ნაკლებად შეეტყოთ შევარდნელებს.

თანაბარი ბრძოლა მხოლოდ ოციოდ წუთს გაგრძელდა. ის კი არა, ერთი-ორჯერ მამულელები წინაც გავიდნენ კაპიტან გიორგი ზაქარიაშვილისა და ვეტერან ზვიად შათირიშვილის ზუსტი ტყორცნების შემდეგ, მაგრამ ძალა დიდხანს არ ეყოთ. ტექნიკოსთა ახალმა ბომბარდირმა გიორგი წივწივაძემ ზედიზედ ორჯერ გაუტანა ყოფილ თავისიანებს — 12:10 და ამით საქმეც მორჩა. ჩემპიონებმა ტაიმი ხუთბურთიანი სხვაობით მოიგეს — 18:13, ხოლო შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა.

წივწივაძეს სამ თამაშში 43 გოლი დაუგროვდა და დამაჯერებლად ლიდერობს მეგოლეთა დავაში. მეორეა თელაველი ალექსანდრე გიორგელაშვილი — 39, ხუთეულში არიან კიდევ ერთი თელაველი თემურ მეტრეველი — 30, „თბილისის“ ლიდერი ლაშა სამარღანიშვილი — 28 და ქარიშხლელი ცაცია რატი მსხვილიძე — 22.



ბაჟურ ცოტაძემ მამულელებს ხუთჯერ გაუტანა

გოჩა ფოლადაშვილის ფოტო

დღეს არმიის სპორტული კლუბის დარბაზში პირველი წრის ცენტრალური მატჩია ჩემპიონ „სტუ-შევარდენსა“ და ვიცე-ჩემპიონ „ხელბურთის კლუბ „თბილისს“ შორის. თამაში 13 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ცხრილი**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 3 | 0 | 0 | 116:76 | 6 |
| ქარიშხალა | 2 | 0 | 1 | 85:82 | 4 |
| სსსსუ-მამული | 2 | 0 | 1 | 81:87 | 4 |
| ხ/კ თბილისი | 1 | 0 | 2 | 88:71 | 2 |
| თელავი | 0 | 0 | 4 | 98:152 | 0 |



## ქართუს თასი. თიხნარი საპრიზო 25 000 $

**1/16**

| მოთამაშეები | გამარჯვებული | ანგარიში |
|---|---|---|
| ტატიანა უვაროვა (1, ბელარუსი) – ნატალია ბოგდანოვა (კვ. უკრაინა) | უვაროვა | 6:4 6:2 |
| ირინა კოტკინა (რუსეთი) – ნანა უროტაძე (საქართველო) | კოტკინა | 6:2 7:6 (7:4) |
| ვერონიკა კაპშაი (კვ. უკრაინა) – სარა ერანი (იტალია) | კაპშაი | 7:6 (7:2) 6:2 |
| სოფო ქვაცაბაია (საქართველო) – ოლგა პანოვა (რუსეთი) | პანოვა | 1:6 6:3 6:0 |
| ვასილისა ბარდინა (3, რუსეთი) – ევგენია როდინა (რუსეთი) | ბარდინა | 2:6 6:1 6:3 |
| კრისტინა გრიგორიანი (კვ. რუსეთი) – მარია გეზნენგე (ბულგარეთი) | გეზნენგე | 6:0 6:1 |
| ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) – ტატიანა კაპშაი (კვ. ბელარუსი) | ტიმოტიჩი | 6:1 6:1 |
| ანა ლაპუშენკოვა (კვ. რუსეთი) – მაკა ჩახნაშვილი (6, საქართველო) | ჩახნაშვილი | 6:4 6:0 |
| ნადეჟდა ოსტროვსკაია (5, ბელარუსი) – პემრა ოზგენი (თურქეთი) | ოსტროვსკაია | 6:2 3:6 6:1 |
| ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი) – ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) | ტეპლიაკოვა | 6:0 7:6 (7:3) |
| ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხეთი) – ანჟელიკა როეში (გერმანია) | ჰლავაჩკოვა | 6:3 6:2 |
| სოფო შაფათავა (კვ. საქართველო) – ეკატერინა ძეპალევიჩი (4, ბელარუსი) | ძეპალევიჩი | 6:4 6:0 |
| კაროლინა კოსინსკა (7, პოლონეთი) – კრისტინა ანტონიჩუკი (კვ. უკრაინა) | ანტონიჩუკი | 6:2 6:4 |
| მარინა შამაიკო (რუსეთი) – ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა) | ლიუბცოვა | 6:2 6:3 |
| ელენა კულიკოვა (რუსეთი) – ვოჟისლავა ლუკიჩი (კვ. სერბეთი) | კულიკოვა | 2:6 6:2 6:2 |
| მადალინა გოჟნეა (რუმინეთი) – სანდრა ზაჰლავოვა (2, ჩეხეთი) | ზაჰლავოვა | 7:6 (7:3) 6:2 |

**1/8**

| გამარჯვებული | ანგარიში |
|---|---|
| უვაროვა | 6:3 3:6 6:4 |
| პანოვა | 6:3 7:5 |
| ბარდინა | 6:3 6:3 |
| ტიმოტიჩი | 6:1 6:2 |
| ტეპლიაკოვა | 6:3 6:3 |
| ძეპალევიჩი | 6:0 7:6 (8:6) |
| ლიუბცოვა | 6:4 0:6 6:4 |
| ზაჰლავოვა | 6:0 7:6 (8:6) |

**1/4**

| გამარჯვებული | ანგარიში |
|---|---|
| უვაროვა | 7:6 (7:1) 6:1 |
| ტიმოტიჩი | 7:6 (7:5) 6:1 |
| ძეპალევიჩი | 6:7 (1:7) 6:2 6:2 |
| ზაჰლავოვა | 7:6 (7:5) 6:3 |

**1/2**

**ფ**

# ქართუ გამოთხოვა

## ჩოგბურთელები ბათუმს მიემგზავრნენ

**უქართველებოდ** დარჩენა „ქართუს თასის“ მეოთხედფინალებზე ტრიბუნებსაც დაეტყო. თუ აქამდე ცენტრალური კორტის გვერდითა ტრიბუნა პირთამდე ივსებოდა, გუშინ მაყურებელთა თითით დათვლაც შეიძლებოდა. ძირითადად იქაც ჩამოსული ჩოგბურთელები და მათი მწვრთნელები თუ მშობლები ისხდნენ. სიხალვათე სხვა კორტებსაც დასტყობოდა. მან, ვინც „ქართუს თასზე“ ვერაფერს მიაღწია, უკვე ბათუმს მიაშურა და იქაური ტურნირისთვის იქვე ემზადება, ხოლო ვისაც რეიტინგი 50-ათას დოლარიან შეჯიბრზე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის შანსსაც არ აძლევდა, სხვა გზას დაადგა.

მეოთხედფინალებმა დუნედ, თუმც მაინც საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა. ოთხი წყვილიდან სამში იმ სპორტსმენმა იმარჯვა, რეიტინგით რომ აშკარად სჯაბნიდა მეტოქეს. ერთადერთი სენსაციის ავტორი კი ანა ტიმოტიჩი გახდა. ამ სერბმა ქალბატონმა მერვედფინალში ქართველთა ბოლო იმედის, მაკა ჩახნაშვილის ძლევის შემდეგ გუშინ რუს ვასილისა ბარდინასაც დასწყვიტა გული. არადა, ბარდინა ტურნირზე მესამე ნომრად იყო განთესილი.

ტიმოტიჩის ფავორიტობას „ქართუს თასის“ დაწყებამდე ვერავინ იფიქრებდა, თუმც ახლა, ჩვენი აზრით, ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსი აქვს. გუშინაც გვარიანად მარდად იქნია ჩოგანი და ბარდინას ორ სეტში მოუმთავრა საქმე, მაგრამ რამდენჯერმე სერიოზულად ანერვიულდა. პირველი „ისტერიკა“ პირველი სეტის შუაწელიდან დაეწყო. როცა 5:1-დან მეტოქემ ანგარიში გაუთანაბრა. სერბმა ჩოგბურთელმა ბარდინას ქომაგი რამდენიმე ქარველი ჭაბუკის ოვაციები ველარ აიტანა. ბოლოს საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, იქ კი რუსს ველარც ქომაგების გვერდით დგომამ უშველა. მეორე სეტში ანამ მხოლოდ ერთი გეიმი დათმო და ბარდინას „ფან-კლუბსაც“ არაერთხელ აზედა ნიშნის მოგებით.

ზუსტად იგივე ანგარიშით შეაღწია საუკეთესო ოთხეულში ტურნირის პირველმა ნომერმა ბელარუსმა ტატიანა უვაროვამ. ერთსეტიანი ნერვიულობა მას ძირითად ბადეში „იღბლიანი ბარათით“ მოხვედრილმა რუსმა ოლგა პანოვამ გამოუწერა. ტაიბრეიკითა და ორსეტიანი ბრძოლით იმარჯვა ჩეხმა სანდრა ზაჰლავოვამ უკრაინელ ოქსანა ლიუბცოვასთან, მეორე უკრაინელმა ოქსანა ტეპლიაკოვამ კი ბელარუს ეკატერინა ძეპალევიჩს პირველი მოგებული სეტის შემდეგ ზედიზედ ორი დაუთმო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ეკატერინა ძეპალევიჩი

## მსოფლიოს ჩემპიონატი

### 27 სექტემბერი — 16 ოქტომბერი, სან-ლუისი, არგენტინა

ჩემპიონატზე ითამაშებენ: ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), პეტერ სვიდლერი (რუსეთი), იუდიტ პოლგარი (უნგრეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)

# ბრილიანტის კაცი ბივშტექსზე ფიქრობს

*რუსი პეტერ სვიდლერი სხვა მოჭადრაკეებისგან სწრაფი, ლოგიკური აზროვნებით გამოირჩევა და ახალგაზრდობაში ბრილიანტის კაცსაც უწოდებდნენ. იგი 1976 წლის 17 ივნისს სანკტ-პეტერბურგში დაიბადა, თამაში კი ექვსი წლისამ ისწავლა და 1994 წელს დიდოსტატიც გახდა. სვიდლერი რუსეთის ოთხგზის ჩემპიონია და პირველად ეს ჯილდო 18 წლისამ მოიგო. ჩემპიონატამდე სვიდლერმა ათ კითხვას უპასუხა:*



პეტერ სვიდლერი

**— რას ელით ამ შეჯიბრისგან?**

— ასეთ ძლიერ ასპარეზობაში ჯერ არ მიმიღია მონაწილეობა და ვეცდები საუკეთესოდ ვითამაშო.

**— როგორ შეფასებას აძლევთ შეჯიბრების დებულებას, რომ ყოველ მოწინააღმდეგესთან ორი პარტიის გამართვა მოგიწევთ?**

— ვფიქრობ, რომ ეს მეტად დამღლელი და ძნელი იქნება ჩვენთვის, მაგრამ რვაკაციანი შეჯიბრებისთვის, მგონი, ნორმალური ფორმატია.

**— თქვენი შვიდი მეტოქიდან ვინ მიგაჩნიათ ტურნირის ფავორიტად?**

— ამას ჩემპიონატის შემდეგ გეტყვით, მაგრამ ფავორიტი მაინც ანანდი მგონია.

**— როგორ ემზადებით ტურნირისთვის?**

— ჩვეულებრივ, გონებრივად!

**— ფიქრობთ, რომ საუკეთესო შედეგს აჩვენებთ?**

— ვიმედოვნებ, თუმცა, ამას დრო უფრო უკეთ გვიჩვენებს.

**— ვინ მოიგებს შეჯიბრს?**

— ანანდი, ლეკო, ტოპალოვი და ასე ანბანის მიხედვით.

**— თქვენ ბევრ ძლიერ ტურნირში გითამაშიათ. ეს თუ განსხვავდება მათგან?**

— 1999 წელს ლინარესში რვა საუკეთესო დიდოსტატს ორრაუნდიანი ბრძოლა მოგვიხდა. მახსოვს, ის ძალიან ძლიერი ტურნირი გამოდგა, მაგრამ ამას მაინც ვერ შეედრება, რადგან სან-ლუისში მსოფლიოს ჩემპიონატია.

**— მაყურებელი ბევრ სიახლეს ნახავს?**

— რა თქმა უნდა.

**— რას არ გამოტოვებს გულშემატკივარი?**

— ზუსტად არ ვიცი მაყურებელს რისი ყურება ურჩევნია, მაგრამ გპირდებით, რომ აქ მაღალი დონის თამაშებს იხილავთ.

**— არგენტინაში ჩასვლისას პირველად რა მოგივიდათ თავში?**

— ტანგო, მარადონა და ძროხის ბივშტექსი.

## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

### იტალია. სენტ-ვისენტი. 18-24 სექტემბერი

VI ტური

#### ვაჟები

| | | |
|---|---|---|
| ურალი (რუსეთი) | 3:3 | ია თბილისი (საქართველო) |
| ალექსეი დრეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ზურაბ აზმაიფარაშვილი |
| ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) |
| კონსტანტინ საკაევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) |
| ალექსეი ალექსანდროვი (ბულგარეთი) | 1:0 | გიორგი გიორგაძე (საქართველო) |
| რაფაელ ვაგანიანი (სომხეთი) | 0:1 | ლევან ფანცულაია (საქართველო) |

#### ქალები

| | | |
|---|---|---|
| ნტნ თბილისი (საქართველო) | 3,5:1,5 | მტკ (უნგრეთი) |
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ტრანგ ტან ჰონგი (ვიეტნამი) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 1:0 | სიდონია ვაიდა (უნგრეთი) |
| ლენა ჯავახიშვილი (საქართველო) | 1:0 | ნორა მედვეგი (უნგრეთი) |
| ანა მათნაძე (საქართველო) | 1:0 | ანიტა გარა (უნგერთი) |

# იას ურალი შეეჯახა

## ნტნ-მა კი მტკ-ს გადაუარბინა

**ყაიმით** დაასრულეს შეხვედრა ჩვენმა ვაჟებმა. „ია თიბილსმა“ ჩემპიონატის ფავორიტ რუსულ „ურალს“ გაუყო ქულები.

პირველ დაფაზე ზურაბ აზმაიფარაშვილი ალექსანდრ დრეევს დაუპირისპირდა. რუსმა ლაზიერის გამბიტით არჩია ქართველის წინააღმდეგ თამაში და ცენტრში სამი პაიკი გამოიყვანა. აზმაიფარაშვილმა წინ წასვლა არ იჩქარა, უკანა ფლანგი გააძლიერა და შემდეგ დაარტყა მეტოქეს. თამაში ორმხრივ იერიშებში გადაიზარდა, თუმც დიდხანს არ გაგრძელებულა და 21-ე სვლაზე მოჭადრაკეებმა ზავი გამოაცხადეს.

დაძაბულ პარტიაში იმარჯვა ფანცულაიამ. ლევანი თავიდანვე მსუბუქი ფიგურების განვითარებას შეუდგა. ჯერ ცენტრი განავითარა და მეტოქეს პატარ-პატარა დარტყმები მიაყენა. დაფაზე ბრძოლა თანდათან გახურდა და მეტოქეებიც გააქტიურდნენ. ფანცულიამ შავი მეფისკენ მიმართა ძალები, თან D ხაზზე მოძრავი პაიკი ჩასათვლელი ხაზისკენ გაუშვა. შეტაკებისას ქართველმა იოლად გატეხა მეტოქე და 41-ე სვლაზე ქულა აართვა.

კვლავ დიდი ანგარიშით იმარჯვეს ჩვენმა მანდილოსნებმა. „ნტნ თბილისმა“ უნგრულ „მტკ ბუდაპეშტს“ 3,5:0,5 გადაურბინა და ცხრილში მეორე დაგილამდე აღზევდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

#### კაცები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტომსკ-400 (რუსეთი) | 8 ქულა |
| 2 | ლადია კაზანი (რუსეთი) | 8 |
| 3 | ურალი (რუსეთი) | 7 |
| 4 | ია თბილისი (საქართველო) | 7 |

#### ქალები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ავს (რუსეთი) | 7 |
| 2 | ნტნ თბილისი (საქართველო) | 7 |



ფანცულაიამ 41-ე სვლაზე იმარჯვა



# თურქებს შტანგა ჩამოართვეს

**ოთხშაბათს** ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ თურქეთის ყველა წარმომადგენელს რაგინდარა საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლა აუკრძალა და ამით, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა მოკვეთა ძალოსნობის მსოფლიო ოჯახიდან.

განაჩენი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. საქმე ისაა, რომ ოსმალოები დოპინგის ტრფიალნი აღმოჩნდნენ და აკრძალული პრეპარატების წყალობით არაერთი ტურნირი მოიგეს. მათ შორისაა თურქთა უმთავრესი ჯილაც, მუთლუ, რომელიც ნებისმიერ ტურნირზე თავის წონაში ფავორიტად ითვლებოდა. დიდი ხნის ამბავია — მუთლუ დოპინგის აქტიური მომხმარებელი გახლდათ.

ამასთან დაკავშირებით თურქული სპორტის მთავარკაცებმა საკუთარი გამოძიება წამოიწყეს და პრობლემის ძირეულად შესწავლას აპირებენ.

„ჯერ კიდევ ველით საერთაშორისო ფედერაციის საბოლოო გადაწყვეტილებას, მანამდე კი საკუთარ გამოძიებასაც ვატარებთ. ყველა სპორტსმენი და მწვრთნელი დაიკითხება“ — აცხადებს ოსმალოთა ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ჰასან აკუში.

თურქეთის მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მინისტრი ალი შაჰინი, რომელიც ქვეყანაში ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხების კურატორია, ანკარაში ჟურნალისტების წინაშე წარსდგა და ომახიანი განცხადებები გააკეთა. კერძოდ, დოპინგთან ბრძოლის კონცეფციის შემუშავებაზე ილაპარაკა და ისიც თქვა, თუ მოგვკვეთეს, ჩვენს თავს დავაბრალოთ და შემდგომში ეს ამბავი ჭკუის სასწავლებელი ყოფილიყოსო.

უახლოესი ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატი, 15 ნოემბერს იმართება ყატარში. გადაწყვეტილი ამბავია, რომ ოსმალოები მასში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ყატარშივე ჩატარდება ძალოსნობის ფედერაციის სპეციალური სხდომა, რომელიც თურქ ძალოსნებს საბოლოო განაჩენს გამოუტანს.

**ლადო ტულუკიძე**





# ირემი რა ვალუევის მეტოქეა

**დღესდღეობით** მსოფლიოში ყველაზე მასიური მოკრივე რუსი ნიკოლაი ვალუევი გახლავთ, რომელიც მუშტების ქნევასთან ერთად ბრწყინვალე მონადირეც ყოფილა. ვალუევი ძირითადად გერმანიაში მართავს თავის სარინგო ბრძოლებს და ერთ მშვენიერ დღესაც ბერლინის გარეუბანში ნადირობა გადაწყვიტა. ნიკოლაი იღბლიანი გამოდგა, პირველივე გასროლით ქორბუდა ირემი განგმირა.

„ეს არის ჩემი პირველი ნანადირევი ირემი — ამბობს ვალუევი — აქამდე რუსეთში ძირითადად გარეულ ტახებზე ვნადირობდი“.

„ის ჩინებული მსროლელია და ისევე კარგად ნადირობს, როგორც კრივობს“ — ვალუევი შეაქო იმ მამულის მფლობელმა ფრანც-კლემანს ჰოფმა.

სხვათა შორის, ვალუევს ორი ნაბიჯი უკლია, რათა WBA-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს. მას 1 ოქტომბერს ამერიკელი მძიმეწონოსანი ლარი დონალდი ერკინება, რომლის დამარცხების შემთხვევაში ვალუევს საჩემპიონო ბრძოლა ელის ამ ვერსიის ქამრის მფლობელ ჯონ რუისთან.

# ჰატონი კიდევ ერთ ქამარს შეიძენს

**მას** შემდეგ, რაც IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა რიკი ჰატონმა ქვესაშუალო წონის მეფედ წოდებული რუს-ავსტრალიელი კოსტია ცზიუ დაამარცხა, ჟურნალმა „რინგმა“ იგი აბსოლუტურ ჩემპიონად შერაცხა.

ჰატონი ოფიციალურად ვერ ჩაითვლება ამ წონის აბსოლუტურ ჩემპიონად, რადგან WBA-ს ვერსიით საჩემპიონო ქამარი ფლოიდ მეივერზს არტყია.

„მე მინდა, რომ ქვესაშუალო წონის აბსოლუტური ჩემპიონი გავხდე და ამისთვის WBA-ს ვერსიის ქამრის მოგება მჭირდება — ამბობს ჰატონი — ვიცი, რომ ეს იქნება ურთულესი საქმე, რადგან მეივერზი ძალიან ძლიერი მოკრივეა. ის, ჩემი აზრით, საუკეთესოა დღესდღეობით, მაგრამ არა მგონია, რომ ჩემს შეტევებს თორმეტი რაუნდის განმავლობაში გაუძლოს.“

# რუსთავს რქები ამოუვიდა

## გოგობერიშვილი და ჯაფარიძე მშობლიურ კერას უბრუნდებიან

**მას შემდეგ**, რაც რუსთაულ კლუბს „აზოტი" აღარ ჰქვია, ძალიან შეეკვეცა ჯიბეც და შესაბამისად ამბიციაც. დღესდღეობით თითქმის ყველა კლუბი გასაჭირშია, თუმც თუ სხვები უფულოდ არსებობას ახლა ეჩვევიან, ქვემოქართლელებს თავის გატანის დიდი გამოცდილება აქვთ. „რუსთავს" ახლაც ძალიან უჭირს, თუმც ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას და გარკვეული ამბიციაც ექნება. ქვემოქართლელებს ორი ძველი ლიდერი — რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე დაუბრუნდა.

„ჩვენი კლუბი ჯერაც გაურკვევლობაშია. ველოდებით, რომ მეტალურგიულ ქარხანას დირექტორი დაუნიშნონ და გუნდის დაფინანსების საკითხი მერელა გადაწყდება — გვითხრა რუსთაველთა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ — ქარხანაში დირექტორი რომ დაინიშნება, კრედიტორებს ჩვენი გუნდის ხარჯთაღრიცხვას წარუდგენს და მერე გადაწყდება, დაგვაფინანსებენ თუ არა".

მიუხედავად იმისა, თუ რგორ გადაწყდება დაფინანსების საკითხი, გოგობერიშვილისა და ჯაფარიძის რუსთაველთა გუნდში დარჩენას წყალი არ გაუვა. ეს ორი კალათბურთელი ცოტა ხანში შევიდა და შესაძლოა, ძველებური შემართებით ვერ თამაშობენ, მაგრამ ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო, ხომ გაგიგონიათ...

სადაც მომსვლელები, იქ წასულებიც ვახსენოთ. რუსთაველებს ორი ახალგაზრდა ფორვარდი — ლევან ტყეშელაშვილი და დავით მურჯიკნელი გამოაკლდათ, რომლებიც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში მოეწყვნენ.

სამაგიეროდ, ქვემოქართლელებთან დარჩა არჩილ ჟღენტი, რომელიც გოგობერიშვილისა და ჯაფარიძის თანამებრძოლი იყო ძველ „აზოტში". აი, ამ სამ გამოცდილ მოთამეშეზე აეწყობა წლევანდელი „რუსთავი" და თუ ქვემოქართლელებს დაფინანსებაც გაუჩნდათ, რამდენიმე ძლიერ მოთამაშესაც დაიმატებენ.



ირაკლი ჯაფარიძე (№12) და რამაზ გოგობერიშვილი (შუაში) რუსთავში დაბრუნდნენ

**ირაკლი ბერტაია**

## ევროპის ჩემპიონატი 2005



AFP

ანდრეი კირილენკო რუსეთის ნაკრების ბედს დასტირის

მეოთხედფინალი

**საბერძნეთი 66:61 რუსეთი**

**ლიტვა 47:63 საფრანგეთი**

*სლოვენია — გერმანია და ესპანეთი — ხორვატია დღეს გაიმართება*

## შედეგები არადამაკმაყოფილებელია

გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის 26-ე სხდომა, რომელსაც 11 წევრიდან 9 დაესწრო. აღმასკომზე იყვნენ: ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი, ვიცე-პრეზიდენტი ლაშა ძიძავა, როლანდ ხომერიკი, მურმან ქურიძე, ზაზა ბახტურიძე, გია მიქაძე, პაატა გურასპაული, მერაბ რატიშვილი და ნოდარ ჯორჯიკია. მისაღები მიზეზების გამო აღმასოკმს ვერ დაესწრნენ ავთანდილ იოსელიანი და მამუკა კაციტაძე.

მთავარ საკითხებად განიხილეს 2005 წლის სეზონში სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების გამოსვლა.

ეროვნული ნაკრების მოსამზადებელი პროცესის შესახებ განცხადება გუნდის „თიმლიდერმა" მერაბ რატიშვილმა გააკეთა, რის შესახებაც ასევე ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა ისაუბრა.

ახალგაზრდული ნაკრების მოსამზადებელი ეტაპის მოკლე ანალიზი ნუგზარ კანდელაკმა გააკეთა, კადეტთა ნაკრების იდენტური საკითხების რეზიუმე კი აღმასკომის წევრებს გელა წულაძემ წარუდგინა.

ამ საკითხებთან დაკავშირებთ იყო აზრთა სხვადასხვაობა, საბოლოოდ კი ყველა ნაკრების მოსამზადებელი ეტაპები და სამწვრთნელო შტაბის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

რაც შეეხება უშუალოდ შედეგებს, იმის გამო, რომ დასახული მიზანი ანუ ერთი დივიზიონით მაღლა ანაცვლება ვერ მოხერხდა, შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს-ცენტრი**

# ქუთაისს კალათბურთი უბრუნდება

**16 წლის** შემდეგ ქუთაისში კალათბურთი ბრუნდება. ოთარ და მიხეილ ქორქიების, ზურაბ საკანდელიძის, ნიკოლოზ დერიუგინის და სხვათა ქალაქში აღარ არსებობდა საკალათბურთო დარბაზი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის მასპინძლობას შეძლებდა. ამიტომ საკალათბურთო კლუბ „ქუთაისს" საშინაო მატჩების გამართვა თბილისში უწევდა.

დღესდღეობით ეს პრობლემა მოგვარებულია — ქუთაისის მერიის ძალისხმევით გამოინახა სახსრები და ბალახვანში მდებარე სპორტულ კომპლექსში გარემონტდა კალათბურთის დარბაზი, რომელიც წლების განმავლობაში უპატრონოდ იყო მიტოვებული.

დარბაზის აღდგენაში აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ყურაშვილი, რომელიც ქუთაისში ამ სახეობის განვითარებაზე გვესაუბრა:

— ჩვენ ქალაქს არაერთი სახელოვანი კალათბურთელი აღუზრდია, — გვიამბობს გელა ყურაშვილი. — მიუხედავად ამისა, სპორტის ეს სახეობა ქუთაისში თითქმის ჩამკვდარი იყო. კალათბურთელებს ვარჯიშების ჩატარება ხონში უხდებოდათ, რადგან ჩვენ დარბაზში ისე წვიმდა, როგორც ღია ცის ქვეშ. შენობას არ ჰქონდა მინები, საშხაპეები, გასახდელები...

— რა დაჯდა დარბაზის გარემონტება? ვინ დაგეხმარათ ამ საქმეში?

— დარბაზის რემონტი დაახლოებით 55000 ლარი დაგვიჯდა. თანხის დიდი ნაწილი ქალაქის ბიუჯეტმა გამოყო, 8000 ლარით კი კომპანია „ჯეოსელი" დაგვეხმარა. ამ ფულით ჩვენ გადავხურეთ სახურავი, დავაყენეთ ახალი ფარები, დავაგეთ ლამინირებული პარკეტი, მოვაწესრიგეთ გასახდელები და საშხაპეები, დავამონტაჟეთ განათება. რაც შეეხება ტაბლოს, ისიც შევიძინეთ და დამონტაჟებაღა დაგვრჩა.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში დასაჯდომი ადგილები არაა გათვალისწინებული, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ თამაშების ჩატარების ნება დაგვრთო, თუმცა, დარბაზში 200-მდე ფეხზე მდგომი გულშემატკივარი თავსდება.

— ვინ დააფინანსებს საკალათბურთო კლუბ „ქუთაისს"?

— „ქუთაისს" ჯერჯერობით მყარი უპატრონებს, იძულებულები სპონსორის ძიებაში ვართ. იმასაც მოგახსენებთ, რომ ქუთაისური კლუბი შარშან დუბლებში გამოდიოდა, წლეულს კი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. კლუბმა უკვე გაიარა შეკრება და 18 ოქტომბრიდან საქართველოს ჩემპიონატში ჩაებმება. გუნდს ზაურ დოლაბერიძე გაწვრთნის, ასისტენტობას კი გელა დარსაძე გაუწევს. ჩვენ მათ მიზნად ოთხეულში მოხვედრა დავუსახეთ.

— ქუთაისის ქალთა გუნდი, ჩვეულებრივ, ძლიერად ასპარეზობს...

— გასულ სეზონში ქალთა გუნდს ხელი მოეცარა, წლეულს კი ჩემპიონი უნდა გახდეს. გუნდს მერაბ სვანიძე და დავით მშვილდაძე ავარჯიშებენ. ჯერჯერობით ისინიც ქუთაისის მერიის კმაყოფაზე იქნებიან.



მალხაზ ქუთათელაძის ფოტო

ქუთაისელი კალათბურთელები ამ პერქეტზე დაბინავდნენ

**ზაზა ცინცაძე**



AFP ლონდონიდან



AFP ლონდონიდან

# შვილები საჭესთან

მალე ლონდონში A1-ის რბოლები გახურდება. 12-რბოლიან დიდპრიზობანაში 25 ქვეყნის მრბოლები მონაწილეობენ. მალაიზიელ ალექს იუნგს და ლიბანელ ბასილ შააბანს ბიგ ბენის საათი მოსწონთ, სხვანი კი ლონდონის ბრიჯზე ჩამომდგარან. ტრაფალგარის ლომებთან კი ძველ დიადთა მრბოლი ვაჟები შეყრილან: ნელსონ პიკე უმცროსი (მარცხნივ) და მათიას ლაუდა. მამათა გამო დაუდუმდებით.



# ოლიმპიელები შეიყარენ



AFP ლონდონიდან

ბრიტანეთის ძველი ოლიმპიური ჩემპიონები ერთად შეიკრიბნენ, რათა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადისთვის უკეთ მოიზიდონ თანხები. პირველ რიგში სხედან: ნიჩბოსანი ბერტი ბუშნელი (1948), მოკრივე ტერი სპინქსი (1956), მოცურავე ანიტა ლონსბრო (1960), მძლეოსანი ლინ დევისი (1964), იახტსმენი როდნი პეტისონი (1968), ცხენოსანი რიჩარდ მიდი (1967). დგანან: იახტსმენი რეჯ უაიტი (1976), მოცურავე დუნკან გუდჰიუ (1980), მძლეოსანი ტესა სანდერსონი (1989), მინდვრის ჰოკეისტი შონ კერლი (1988), მძლეოსანი სალი განელი (1992), პარაოლიმპიადის მოცურავე სარა ბეილი (1996), ნიჩბოსანი მეთიუ პინსენტი (2000), იახტსმენი შირლი რობერტსონი (2004) და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის (2004) გამარჯვებული პარ ეტირეტი.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხინჯრიკაშვილი, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ასლამაზოვი, თამარ მალაკმაძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge